გაზეთი ბოლოსია, „ბოლოსია" ელითი

ბოლოსი

ფასი 50 თეთრი

№106 (1001) 5 - 6 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დავით ბერძენიშვილი: „კოალიციიდან ვერავინ გაგვაგდებს"

დაუჭერენ თუ არა მხარს რესპუბლიკელები ირაკლი ალასანიას გვ. 5

ირაკლი ალასანიას დაიჭერენ?!

პრემიერმა თავდაცვის მინისტრი გადააყენა, ვინ არის მინდია ჯანელიძე

ალექსი პეტრიაშვილი გადადგა, დატოვებენ თუ არა მთავრობას პარტიის სხვა წევრები

მკვლელი ნამლები

გვ. 7

ვინ რატომ მივა 6 ნოემბერს რეზო ამაშუკელის ყრილობაზე და გადაუვლის თუ არა თბილისს საპროტესტო აქციების ახალი ტალღა გვ. 7

კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა 2015 წლის 31 დეკემბრიდან ეკრძალებათ!

გვ. 6

ინოვაციური პროდუქტი სავაჭრო ობიექტებისთვის

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

გვ. 7

კრიმინალების კონტრრეფორმა ზონაზე და ყველაზე მასშტაბური შიმშილობა

გვ. 8

ალექსი პეტრიაშვილი გადადგა — დატოვებენ თუ არა მთავრობას პარტიის სხვა წევრები

გიორგი იაშვილი

როცა 4 ნოემბერს ირაკლი ალასანიამ საგანგებო ბრიფინგი თავდაცვის სამინისტროში კი არა, პარტიის ოფისში ჩაატარა, ბევრი ვარაუდობდა, რომ განცხადებას გადადგომის თაობაზე გააკეთებდა, თუმცა აქცენტი პოლიტიკურ დაკვეთაზე გააკეთა და კოალიციის წევრების შეკრება მოითხოვა. პოლიტსაბჭო დღეს შეიკრიბება და მასზე დასწრების უფლება ალასანიასაც ექნება, მაგრამ უკვე ექსმინისტრისა და პარტია თავისუფალი დემოკრატების ლიდერის რანგში. თანამდებობიდან ალასანიას გადაყენება „გაციებულიც“ არ იყო, მას ალექსი პეტრიაშვილი მიჰყვა, რომელმაც თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა. თანაც, ძალიან ხისტი განცხადება გააკეთა — დიქტატურა ახლოვდება, დემოკრატია საფრთხეშიაო. დიქტატორში ვინ იგულისხმა, ადვილი მისახვედრია.

გაყვება თუ არა გუნდი ალასანიას და დატოვებენ თუ არა „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციას?! თავად ალასანია დარწმუნებულია, რომ გუნდი გაჰყვება და თქვა კიდეც: „დღეიდან აღარ ვარ საჯარო მოხელე, დღეიდან იწყება ახალი პოლიტიკური ეტაპი როგორც ჩემი პოლიტიკური გუნდის, ისე ჩემთვის. ეს იქნება ძალიან საინტერესო ეტაპი. ეტაპი იმის, დავიცვათ ის ღირებულებები, რომლის მიღწევასაც 20 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს“.

ალასანიას ბრიფინგს არ ესწრებოდნენ მისი გუნდის წევრები თეა წულუკიანი (რომელმაც მინისტრად დანიშვნის შემდეგ პარტიის წევრობა თავად შეიჩერა), პარლამენტარი გედევან ფოფხაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკანიანი. საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ალასანიას ცოლის დაა, თუმცა „ქართული ოცნების“ წევრად ითვლება. ასეც რომ არ იყოს, ცოლის ნათესავი ნათესავად რომ არ უნდა ვაღიაროთ, უკვე გვასწავლეს.

სერიოზული ეჭვი გვაქვს, ხვალ ალასანიას კოალიციიდან გაუშვებენ, რადგან თავად არ აპირებს უკან დახევას და პრემიერის მისამართით მკვახე განცხადება უკვე გააკეთა: „მე პრემიერის ნაცვლად დღეს დავინახე პროკურორი და უფრო გამიღრმავდა ეჭვი, რომ მთელი ეს ქმედება დაგეგმილი იყო იმისთვის, რათა შეელახათ თავდაცვის მინისტრის ავტორიტეტი“. ამ განცხადებით, ალასანიამ პრაქტიკულად პირდაპირ მიანიშნა, რომ „დაგეგმვის“ ინიციატორი სწორედ პრემიერი გახლავთ.

საინტერესოა, რა მოხდება პარლამენტში, სადაც თავისუფალ დემოკრატებს ათკაციანი ფრაქცია ჰყავთ. ფრაქციაში ვიქტორ დოლიძე, დავით ონოფრიშვილი, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ჩიქოვანი, ნინო გოგუაძე, გედევან ფოფხაძე, თამაზ ჯაფარიძე, გიორგი ცაგარეიშვილი, გელა სამხარაული და თამაზ შიოშვილი შედიან. სამი მათგანი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა. კერძოდ, დოლიძე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს ხელმძღვანელობს, ცაგარეიშვილი — გარემოს დაცვის კომიტეტს, ხოლო ონოფრიშვილი — საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტს. თუ გუნდი გადაწყვეტს, რომ ალასანიას ბოლომდე უნდა გაჰყვეს, არ არის გამორიცხული, ძალთა გადანაწილება პარლამენტშიც მოხდეს და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებმა კომიტეტების თავმჯდომარის პოსტები დატოვონ.

პროცესებს, დიდი ინტერესით უმზერს საპარლამენტო ოპოზიცია. ნაციონალურ მოძრაობას 15 ნოემბერს აქცია აქვს დაანონსებული და თავდაცვის მინისტრის გადადგომა მათთვის ძალზედ მომგებიანია. ალასანია კოალიციიდან რომ წავიდეს, ერთ დღეში ნაციონალებთან არ გაერთიანდება, მაგრამ ის, რომ ალასანია ევროპისკენ ისწრაფვოდა და ამის გამო მოხსნეს, აუცილებლად ითქმება და ეს აქციისთვის ზედმეტად კარგი სავაჭრო თემაა. 15 ნოემბრამდე კი ათი დღეა და ამ ათ დღეში თუ ისე მოხდა, რომ ალასანიამ 15 ნოემბრის აქციაზე გასვლა დააპირა, კოალიციისთვის ეს უდიდესი დარტყმა იქნება. მითუმეტეს, რომ ალასანიამ პირდაპირ მიანიშნა, სასაუბროდ ყველასთან მზად არის: „მე პროდასავლურობისთვის ბრძოლაში პარტნიორებს ვხედავ ყველაში, ვისაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით რაიმე გაუკეთებია ან აკეთებს, მათ შორის არ გამოვრიცხავ თანამშრომლობას არც ნაციონალურ მოძრაობასთან. მე შევეცდები ამ ძალების შეკვრას ისე, რომ არ გაჩნდეს ბზარი, რათა ამ ბზარში არ იპოვოს რაიმე ადგილი რუსეთის ფედერაციამ“. პარალელურად, საუბრობენ იმაზეც, რომ პირველი მინისტრი, ვინც ნაციონალურმა მოძრაობამ თავის დროზე თანამდებობიდან გაუშვა, ირაკლი ოქრუაშვილი გახლდათ და... ისიც თავდაცვას ხელმძღვანელობდა და ისიც ე.წ. ჩაწყობილ ტენდერებს შეეწირა. ოქრუაშვილის წასვლის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში ბზარი გაჩნდა და ეს ბზარი 2012 წელს უფსკრულად იქცა. ამ შემთხვევაშიც საქმე ირაკლისთან გვაქვს, ამ შემთხვევაშიც საუბარი თავდაცვის მინისტრზეა და... ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ოქრუაშვილი და ალასანია ჯგუფელები არიან.

დღეს, კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. პრემიერ-მინისტრმა სხდომაზე ალასანია და თავისუფალი დემოკრატები მთელი შემადგენლობით მიიწვია. სავარაუდოდ, ეს იქნება მცდელობა, ალასანიას გუნდს რამდენიმე სერიოზული კადრი ჩამოცილდეს, თუმცა როგორც ამბობენ, ალასანიამ უკვე ევროპაში იცოდა, რომ მოხსნიდნენ და თადარიგი წინასწარ დაიჭირა. პრინციპში, თადარიგი რიგიანი ვერ გამოვიდა, რაც მის მიერ გამართულ ბრიფინგს შეეტყო კიდეც. მთავარია, მისი ნავიდან ვინ გადახტება და მენიჩბეების შენარჩუნებას მაინც თუ შეძლებს ალასანია.

შსს-მ ქურდობის რამდენიმე ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა 1996 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გიორგი ა. და 1994 წელს დაბადებული, წარსულში ძარცვისთვის ნასამართლევი, ამჟამად ასევე პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი სანდრო შ. ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა გიორგი ა. და სანდრო შ. გვიან ღამით, თბილისში, იპოლიტე ხვიჩიას №16-ში იმ დროს დააკავეს, როცა მათ სუვენირების მაღაზია გაქურდეს და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდნენ. პოლიციელებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ნაქურდალი ბიჟუტერია და 60 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ა. და სანდრო შ. თბილისის სხვადასხვა რაიონში მდებარე თონეებსა და სასურსათო მაღაზიებს ქურდავდნენ, საიდანაც სხვადასხვა სასმელს, სიგარეტს და ფულს იპარავდნენ. ბრალდებულებმა ასევე მიმდინარე წლის 1 ნოემბერს თბილისში, ქართველიშვილის ქუჩაზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლეს“ ოფისის ფანჯარა ჩაამტვრიეს, აღნიშნული ოფისიდან სუპერმარკეტ „ჯა-ზუ“-ს საწყობში შეაღწიეს და ერთი ყუთი შოკოლადი წაიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

პრემიერმა ალასანია გადააყენა — ვინ არის თავდაცვის ახალი მინისტრი მინდია ჯანელიძე

ორი ირაკლის პოლიტიკური ქიშპობა პირველის გამარჯვებით დასრულდა — პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს 4-საათიანი სხდომის დასრულების შემდეგ, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია თანამდებობიდან გადააყენა. მთავრობის მეთაურმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიას მხრიდან სახეზეა საკითხის პოლიტიზირების მცდელობა: **„ნაცვლად იმისა, ირაკლი ალასანიას ხელი შეეწყო გამოძიების პროცესისთვის, მისი მოქმედებები იწვევს მთლიანად თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების პოლიტიზებას, რაც აისახება უარყოფითად ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობაზე და მთავრობის ეფექტურ მუშაობაზე. სამინისტროს შესყიდვები არაერთხელ გამხდარა მთავრობის მსჯელობის საგანი, რაზედაც თავდაცვის ყოფილ მინისტრს ეძლეოდა შენიშვნები და მითითებები. მაინც გამოვლინდა დარღვევები, რასაც მიეცა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ კორუფციასთან ბრძოლა არის ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი და ვიქნებით უკომპრომისო მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, რომელ უწყებას და მინისტრსაც უნდა ეხებოდეს ეს. იმისთვის, რომ მოხდეს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების პოლიტიზების თავიდან აცილება, ის რაც არის ჩვენი მთავარი მონაპოვარი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი პირობები დამოუკიდებელი გამოძიებისთვის, მივიღე გადაწყვეტილება, თავდაცვის მინისტრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“.**

პრემიერმა ირაკლი ალასანიას განცხადებას, თითქოს სამინისტროს საქმეზე მიმდინარე გამოძიება ქვეყნის ევროატლანტიკურ არჩევანზე შეტევაა, უპასუხისმგებლო უწოდა: **„ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის არა მხოლოდ ჩვენი მთავრობის, არამედ ჩვენი ხალხის არჩევანი და ეს პროცესი არის შეუქცევადი. საქართველოს მთავრობის მიერ არჩეული საგარეო კურსი, რომელიც ითვალისწინებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, არ არის და არასოდეს იქნება დამოკიდებული ერთი რომელიმე მინისტრის პოზიციაზე. ეს არის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ვერც ერთ კითხვაზე, რომელიც მას თავდაცვის მინისტრის მისამართით გაუჩნდა, არგუმენტირებული პასუხი ვერ მიიღო. **„მინისტრი, რომელიც ვერ ახერხებს 2 წლის განმავლობაში ჯარისკაცების კვების მოწესრიგებას, რა თქმა უნდა ვერ ჩაითვლება ეფექტურ მინისტრად და მხოლოდ ამის გამოც, მე მას აუცილებლად გავათავისუფლებდი დაკავებული თანამდებობიდან. მინისტრი, რომელიც სავარაუდოდ, საკუთარ მეგობრებს აძლევს შესყიდვებს და ტენდერებს, რა თქმა უნდა, ასევე ვერ დარჩებოდა დაკავებულ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია არ ნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტროში მოხდეს, სავარაუდოდ, 4 მილიონი ლარის გაფლნაგვა. ეს თანხა ჩვენ ჯარისკაცებს აკლდებათ... გუშინ მქონდა შეხვედრა ფრაქცია „თავისუფალ დემოკრატებთან“, რომელიც ჩვენი კოალიციის წევრია. მათ გულახდილად ვესაუბრე. მათ წინაშე ალასანიას კიდევ ერთხელ დავუსვი კითხვები იმ გამოძიებაზე, რომელიც მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით. მე, როგორც პრემიერ-მინისტრს, ამ გამოძიებაზე მაქვს კითხვები, თუმცა დღემდე ვერ მივიღე კონკრეტული პასუხები“.**

ღარიბაშვილის თქმით, 5 ნოემბერს, პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართება და მასზე დასწრების უფლება, როგორც პოლიტსაბჭოს წევრს, ირაკლი ალასანიასაც აქვს: **„ალასანიას და მის პარტიას, აქვს სრული უფლება დაესწროს პოლიტსაბჭოს სხდომას. მინდა დავაფიქსირო, რომ მსურს, გაფართოებული პოლიტსაბჭოს მოწვევა და ამ სხდომაზე მსურს დაესწროს „თავისუფალი დემოკრატიები“ სრული შემადგენლობით“.**

თანამდებობიდან თავდაცვის მინისტრის გადაყენების მიზეზების ახსნის შემდეგ, ღარიბაშვილმა თავდაცვის ახალი მინისტრის ვინაობაც გაამხილა — ირაკლი ალასანიას, მინდია ჯანელიძე შეცვლის. ვინ არის მინდია ჯანელიძე და რა დამსახურებისთვის ანდო მას თავდაცვის მინისტრის პორტფელი პრემიერმა?

მინდია ჯანელიძე 2013 წლის დეკემბრიდან, ანუ დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს. მას დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია, კონტრმზვერავი/იურისტი-სამართალმცოდნეს სპეციალობით, დამატებითი სპეციალური განათლება მიღებული აქვს დასავლეთის ქვეყნებში.

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში კარიერა დაიწყო ოპერატიული თანამშრომლის პოზიციიდან, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ოპერატიული სამსახურის სამმართველოს უფროსი, 2012 წლიდან კი ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

მინდია ჯანელიძე, სამხედრო წოდებით არის ვიცე-პოლკოვნიკი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი და ასევე უწყებრივი ჯილდო — მედალი „მაღალი პროფესიონალიზმისთვის“. ფლობს ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თავდაცვის ექსმინისტრის პოლიტიკური თავდასხმა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრემიერმა ირაკლი ალასანია გადააყენა. მანამდე, თავდაცვის სამინისტროს სკანდალი, ირაკლი ალასანიას ევროპიდან ჩამოსვლის მერე, ახალ ფაზაში შევიდა — დაკავებულ 5 მაღალჩინოსანს კიდევ 6 ადამიანი შეემატა. თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაცვის მინისტრმა სხვადასხვა სახელისუფლო წრეებში ურთიერთობების დალაგება უკვე დაიწყო. 4 ნოემბერს ალასანია პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ სკანდალური შესყიდვების პროცესში, არაპირდაპირ თავადაც იყო ჩართული — როცა რომელიმე უწყება ორ მილიონ ლარზე მეტს ხარჯავს შესყიდვებში, ამის შესახებ პარლამენტის ნდობის ჯგუფს უნდა ეცნობოსო. უსუფაშვილის თქმით, ალასანიას უწყებამ ცნობა ამის შესახებ პარლამენტს შარშან, დეკემბერში გაუგზავნა. უსუფაშვილი ძველ პარტნიორს საპარლამენტო ბერკეტების გამოყენებას დაპირდა, ალასანია — პარლამენტთან აქტიურ თანამშრომლობას. კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, არც ისაა გამორიცხული, ალასანია-უსუფაშვილს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე ესაუბრათ, მაგრამ ეს ამბავი არავის დაუდასტურებია.

ამ დღეებში აქტიურად მუსირებდა მითი თუ რეალობა ორი ირაკლის დაპირისპირების შესახებაც. ორი ირაკლი კი ერთმანეთს ჯერ კიდევ უსუფაშვილთან შეხვედრამდე, 3 ნოემბერს შეხვდა. ამ შეხვედრაზე ალასანიას კიდევ ერთი თანაპარტიელი მინისტრი, **ალექსი პეტრიაშვილი** ახლდა, რომელმაც განაცხადა: **„ირაკლი ალასანიამ პრემიერთან დამატებითი არგუმენტები წარმოადგინა. ირაკლი ღარიბაშვილი დაგვპირდა, რომ ამ არგუმენტებს ყურადღებით გაეცნობა“** და იქვე დასძინა, რომ ალასანიას გადადგომის საკითხი არც ამ პრივატულ შეხვედრაზე და არც მთავრობის სხდომაზე განხილულა. ეს მოკლე, ორდღიანი მიმოხილვა იქეთ იყოს და, ჯარისკაცების საკვებით მოწამვლასა და თავდაცვის სამინისტროს ტენდერებზე არსებული კითხვისნიშნებიც ორდღიან ისტორიას არ ითვლის — ეს თემა დღეს და გუშინ არ გამხდარა აქტუალური.

შარშან, ზაფხულში, როცა 18 ჯარისკაცი მოიწამლა, ალასანიას უწყებაში არსებულ დარღვევებზე ბევრი ალაპარაკდა. ალასანიამ კი განაცხადა, ვიღაც პროვოკაციას შიგნიდან მიწყობსო. ეს განცხადება საკითხის პოლიტიკურ კონტექსტში გადატანის კლასიკური მაგალითი იყო. ახლაც, როცა მთელი საქართველო თემას პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში განიხილავს, კითხვა ჩნდება — ვის აწყობს გაპოლიტიკურება:

დასასრული მე-4 გვერდზე

პროკურატურა ირაკლი ალასანიას წინაალმდეგ კორუფციის ახალ ფაქტებს გაახმაურებს!

გიორგი იაშვილი

რამდენიმე დღის წინ, მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები „კაბელების საქმეზე“ დააპატიმრა, რასაც ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე „დამნაშავე“ ჩინოვნიკების დაკითხვა-დაკავება მოჰყვა. თუმცა, როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, თავდაცვის სისტემაში კორუფციული ფაქტების ნუსხა საკმაოდ ვრცელია, შესაბამისად, უწყებაში დაპატიმრებების სერიაც გაგრძელდება.

პროკურატურის მაღალჩინოსნები არ გამორიცხავენ, რომ დღემდე გახმაურებულ ფაქტებს ახალიც დაემატოს. მაგალითად, გენერალ გია ყარყარაშვილის მძღოლის გიორგი სიმონიანის ფაქტი, რაზეც ჯერ კიდევ 2013 წელს ქუთაისში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წევრი ირმა ნადირაშვილი საუბრობდა. მისი თქმით, 2013 წლის 4 იანვარს, მოქალაქე გიორგი სიმონიანმა, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა არანაირი ბიზნესგამოცდილება, თბილისში დაარეგისტრირა შპს „პროგრეს პლუსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თავად არის. ფირმის დაფუძნებიდან სამ კვირაში მან მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს ტენდერში და მოიგო 70 000 ლარი საწმენდი და საპრიალებელი საშუალებისთვის. **„ამის შემდეგ, ხუთ დღეში, კიდევ ორი ტენდერი გაიმართა. პირველი — სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისთვის და გამოტანილი იყო ლოტი 1 372 000 ლარი. ეს ტენდერიც მოიგო მან და კიდევ ერთი ტენდერი 238 000 ლარზე, აკუმულატორების მიწოდებაზე. სხვათა შორის, ეს ტენდერი მოუგო „თეგეტა მოტორსს“. საბოლოოდ, თითქმის 1 800 000 ლარზე ავიდა თანხა, რომელიც თავდაცვის სამინისტროდან მიიღო ამ კომპანიამ... გიორგი სიმონიანი არის გენერალ გია ყარყარაშვილის მძღოლი. თუ გავიხსენებთ, რა ახლო ურთიერთობები აქვთ ბატონ ყარყარაშვილს და ირაკლი ალასანიას, ალბათ არავის გაკვირვებას გამოიწვევს ეს ფაქტები და გასაგები გახდება როგორც მოახერხა სამი ლოტის მოგება. ირაკლი ალასანიამ ყარყარაშვილს პოლიტიკური მხარდაჭერისთვის მადლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაუხადა. ეს არის ელიტური კორუფციის ფაქტი. ჩვენ ვთვლით, რომ თავდაცვის სამინისტროში რაღაც ხდება, რადგან არ ჩატარებულა არც ერთი ტენდერი, რომ სკანდალი არ მოყოლოდა“,** — განაცხადა ნადირაშვილმა და მოუწოდა სამართალდამცავებს, დაინტერესდნენ ამ თემებით, თუმცა დღეს, როცა დაინტერესდნენ კორუფციის ფაქტებით, ნადირაშვილი და სრულიად ნაციონალური მოძრაობა თავისუფალი დემოკრატებისა და თავდაცვის მინისტრის ადვოკატად მოგვევლინა.

დაპატიმრებას პოლიტიკური სარჩული ჯერ შეფარვით, შემდეგ კი ღიად დაუდეს და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა საუბარი საბოტაჟზე დაიწყეს. იმ დროს სამინისტროს პირველი პირი ირაკლი ალასანია ვიზიტით ევროპაში იმყოფებოდა და დაბრუნებისთანავე განაცხადა, პროკურატურას ჩემთვის უნდა დაეცადა და დაპატიმრება შემდეგ უნდა განეხორციელებინაო. საინტერესოა, რას იტყოდა მაშინ ბატონი ირაკლი, პროკურატურა მართლაც რომ დალოდებოდა და ეჭვმიტანილი პირები მიმალულიყვნენ?! ეჭვი გვაქვს, ასეთ შემთხვევაში აქცენტი პროკურატურის უნიათობაზე გაკეთდებოდა და იტყოდნენ, რომ ბადაშვილის უწყება ალასანიას ტყუილად ელოდა. თანაც, საინტერესოა, როდიდან დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაპატიმრება ხელმძღვანელ პირებთან უნდა შეთანხმდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ქმედება...

თავდაცვის უწყებაში ყველაფერი რიგზე რომ ვერ არის, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჭავანაძეც** ღიად აცხადებს. უფრო მეტიც, იგი არ მალავს, რომ პროკურატურისგან აქტიურ ქმედებას ახლა კი არა, მიმდინარე წლის აპრილში ითხოვდნენ: **„ჯერ კიდევ 2014 წლის აპრილში მივმართეთ პროკურატურას, დაინტერესებულიყვნენ შპს „არქიტექტურული ბიუროს“ მიერ თავდაცვის სამინისტროში მოგებული ტენდერებით, რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლავთ თამარ ვალიშვილი. სწორედ ვალიშვილის კომპანიამ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ, არასაცხოვრებელ კორპუსებზე რეკონსტრუქციების ჩატარების, კაპიტალური რემონტისა და თავდაცვის სამინისტროსთვის საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის უფლება მოიპოვა. როგორც შემდგომ გაირკვა, კომპანიისთვის პრიორიტეტის მინიჭება ირაკლი ალასანიასა და თამარ ვალიშვილის ახლო ურთიერთობამ განაპირობა. აღნიშნულის მტკიცების საფუძველი პარიზში თამარ ვალიშვილისა და ირაკლი ალასანიას ერთობლივი ვოიაჟის დროს ფოტო და ვიდეომასალის მედიაში გავრცელება გახლავთ, რითაც დადასტურდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ ტენდერებში უპირატესობის მინიჭება ალასანიას პირადი სიმპათიებითა და გაუმჭვირვალედ ხდება“.**

შესყიდვების საქმეს მალევე მიჰყვა ჯარისკაცების მოწამვლის თემაც და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს მასშტაბით ვამტკიცებთ, რომ ქართულ ჯარში კვება უმაღლეს დონეზეა აყვანილი და მათ საკვების პრობლემა არ აქვთ. ხარისხის რა გითხრათ, მაგრამ უკვე იმაზეც საუბრობენ, რომ რეალურად, ჯარი მშიერია და საჭმელი არასაკმარისი.

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, დღეს ჯარისკაცებს არ აქვთ ტყვია-წამალი, არ გააჩნიათ ხარისხიანი კვება, რის გამოც ისინი სისტემატურად იწამლებიან, უფროდაუფრო უარესდება თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურა, ხოლო ამ დროს კი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ჩვენი ჯარისკაცებითვის გამოყოფილი ფულით პარიზში დროს ატარებს“, — ესეც მჟავანაძის სიტყვებია.

სხვათა შორის, მჟავანაძის განცხადება თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა პროკურორმა, კოკა კაციტაძემ, რომელმაც დაადასტურა, რომ გამოძიება სწორედ შპს „არქიტექტურული ბიუროს“ მიერ მოგებულ ტენდერებზე მიმდინარეობს:

„ვადასტურებთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას შპს „არქიტექტურულ ბიუროსა“ და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვის ფაქტზე. „არქიტექტურულ ბიუროსთან“ გაფორმებულ შესყიდვის ხელშეკრულებებს გრიფი „საიდუმლო“ მინიჭებული აქვს თავად თავდაცვის სამინისტროს მიერ. გამოძიება სწავლობს ხსენებულ საწარმოსთან თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების კანონიერების საკითხს. იკვეთება თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებისა და შპს „არქიტექტურული ბიუროს“ დამფუძნებლებს შორის პირადი კონტაქტები და ახლო კავშირები“.

მიმდინარე მოვლენების პოლიტიკურ კონტექსტში გადატანად და პოლიტიკური სარჩულის დადების მცდელობად შეფასდა ირაკლი ალასანიას მიერ გამართული ბრიფინგი. მინისტრმა ბრიფინგი არა თავის უწყებაში, არამედ პარტიის ოფისში დანიშნა და მთავარი აქცენტები სწორედ პოლიტიკურ სარჩულზე გააკეთა. მან კოალიციის პოლიტსაბჭოს მოწვევა მოითხოვა და პროკურატურის ქმედება ქვეყნის ევროპული არჩევანის საფრთხედ შეაფასა. მართალია, ბატონ ირაკლის არ აუხსნია, რატომ არის ჯარისკაცების მოწამვლა და მოგებულ ტენდერებში ეჭვმიტანილი შპს-ს შემოწმება ევროპული არჩევანის და ქვეყნის კურსის საფრთხე, მაგრამ ფაქტია, რომ ის სწორედ ასე ფიქრობს და აქცენტს საკუთარ პერსონაზეც აკეთებს:

„ეს არის პირდაპირი ჯაჭვი ჩვენი ქვეყნის კავშირისა ნატო-სთან, ჩვენი ქვეყნის ორიენტაციასა და ჩვენი ქვეყნის მომავალთან. მივმართავ ჩვენი მმართველი კოალიციის პოლიტიკურ საბჭოს, შევიკრიბოთ და გავხსნათ მსჯელობა, თუ საითკენ მიჰყავს ამ მოვლენებს ჩვენი ქვეყანა. ეს არის შეტევა საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე, ეს არის შეტევა იმ სტრუქტურაზე, რომელიც გამორჩეულია საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე. მინდა ასევე გითხრათ, რომ კარგად ვიცი, ვისი გორისა ვარ. ვერ შემაშინებს ვერც პროკურატურა, ვერც ის ტალახი, რომელიც იყო მედიის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ნასროლი. გპირდებით ქართულ საზოგადოებას, რომ ბოლომდე მივიყვან ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს და ვუერთგულებთ იმ იდეალებს, რომლისთვისაც საზოგადოებასთან ერთად ჩვენ გავიმარჯვეთ. ახლა მთავარია სიმშვიდე, სიბრძნე და მტკიცედ გავაგრძელოთ საქართველოს პოლიტიკური მომავლისთვის ბრძოლა“.

ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პოლიტსაბჭო ან შეიკრიბება თუ არა საერთოდ, მაგრამ ფაქტია, დამნაშავე უნდა დაისაჯოს და არ აქვს მნიშვნელობა, ეს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი იქნება თუ სხვა უწყების. ამომრჩეველთა დაკვეთა სწორედ კანონის უზენაესობა იყო და კანონის უზენაესობა სწორედ ამას გულისხმობს.

თავდაცვის ექსმინისტრის პოლიტიკური თავდასხმა

მე-3 გვერდიდან

უმრავლესობას თუ ირაკლი ალასანიას? ვინ უფრო აპიარებს თემას კოალიციაში დაპირისპირების შესახებ, ალასანია-უსუფაშვილი და მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები თუ პრემიერი ღარიბაშვილი და პარტია „ქართული ოცნება“? ვინ არის ამ სიტუაციაში გმირი და ვინ ანტიგმირი — ალასანიას მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, ვინც ამბობს, რომ ჩვენება გაუყალბეს და ოქმს ხელს არ აწერს, თუ პროკურატურა, ვინც ბატიაშვილს 8 საათის განმავლობაში კითხავდა და არც მისი მეორედ დაკითხვა ეზარება?!

თავდაცვის რეჟიმში დღეს თავდაცვის ექსმინისტრი დგას და თავდასხმებს პოლიტიკურად იგერიებს. ან იქნებ, თავად იწყებს პოლიტიკურ თავდასხმას? არადა, მისი უწყება მოწამლული ჯარისკაცების ისტორიებს უკვე ერთი წელია ხან პასუხობს, ხანაც ფარცხავს. პატარა ქრონოლოგია სრულიად საკმარისია იმის გასახსენებლად, რა ხდებოდა ამ ერთი წლის განმავლობაში: 2013 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, ჯარისკაცების მოწამვლის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა მოხდა. ახალი აჟიოტაჟი კი ჯარისკაცების კვების ტენდერების შედეგების გამო დაიწყო — თავდაცვის სამინისტროს ორი, თბილისისა და რუსთავის 40 და 8-მილიონიანი ტენდერი ალასანიას თანაპარტიელის, ირინა იმერლიშვილის ქმარმა მოიგო. ამის შემდეგ, სექტემბერში „ვერსიამ“ თავდაცვის მინისტრთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა და ამ კითხვებზე პასუხები მოითხოვა. „ვერსიის“ კითხვას, რომ ჯარის კვების მონოპოლიზება ჯერ იმერლიშვილის მეუღლემ მოახერხა და მერე კომპანია „დელტამ“, რომელსაც თურმე, პირადად ალასანია აკონტროლებს, მინისტრმა ასე უპასუხა: **„საუბარია „ქართული კვების კომპანიაზე“, რომელიც „დელტას“ ნაწილია. კვება გაუმჯობესდა, ჯარისკაცები და წვევამდელების მშობლები კმაყოფილები არიან. ბრიტანეთიდან სპეციალური ჯგუფიც მოვიწვიეთ, რომელმაც ხედვა წარმომიდგინა, როგორ უნდა განვითარდეს ჯარის კვების საკითხი. ჩვენც იმ რეკომენდაციებს მივყვებით, რაც ნატო-ს მოწინავე ქვეყანამ, ბრიტანეთმა მოგვცა. სრული დამაჯერებლობით ვამბობ, ამ საკითხში მომავალი წელი უკეთესი იქნება! ამ შესაძლებლობას ვიყენებ, რომ ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით ჩვენს გლეხებს მივცე სტიმული. კვების ყველაზე დიდი ორგანიზაციაც ჩვენ გვაქვს და ამ სისტემის ყველაზე დიდი მომხმარებელიც ჩვენ ვართ — ძალიან კმაყოფილი ვარ! ექსპერტები და არასამთავრობო სექტორი „ქართული კვების კომპანიის“ მიერ წარმოებულ ყველა შესყიდვას ესწრებიან. ყველაფერი გამჭვირვალედ ხდება. ეს საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაა“.**

ალასანია უკეთეს წელს კი გვპირდებოდა, მაგრამ ფაქტია, 2014 წლის მიწურული მის კარიერაში ერთ-ერთი უმძიმესია. „ვერსიას“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა ალასანიას ყოფილმა მოადგილემ, **ზაზა ბროლაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ახალი ტენდერები გამოაცხადა. **„ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ფუნქცია სახელმწიფო კომპანიას ჩამოსცილდეს და კერძო ბიზნესს გადაეცეს, რომელიც ჯარს გაცილებით ხარისხიანად და იაფად გამოკვებავს. იანვრის დასაწყისში, „ქართული კვების კომპანიამ“ ტენდერი გამოაცხადა და ახალი მომწოდებლები შეარჩია. შედეგად, თებერვალ-მარტში, კომპანია 1 600 000 ლარის ეკონომიას მიიღებს, მაგრამ ეს კვების ხარისხის გაუარესების ხარჯზე არ მოხდება. პირიქით, თუკი ადრე, ჯარი მეორე ხარისხის ხორცით იკვებებოდა, ამჟამად, რაციონში პირველი ხარისხის ხორცი შევიტანეთ. გარდა ამისა, აქამდე ჯარში ნორმირებული კვება არ ყოფილა და, პრაქტიკულად, ისე იკვებებოდნენ, როგორც სურდათ, რაც არასწორი იყო. უნორმო და რაციონსგარეშე კვება გარკვეულ აღურიცხაობას უკავშირდებოდა. სპეციალისტებს შევადგენინეთ სპეციალური ნორმები, რაც ახალი ტენდერის დასრულებისთანავე ამოქმედდება და ტენდერში გამარჯვებული კომპანიები შესაბამის მენიუს შეადგენენ. კრიტერიუმი, რომლითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება, კანონმდებლობით, პროდუქტების ფასი და ხარისხიანი საკვებია“.** ამ ინტერვიუების პარალელურად კი არ ცხრებოდა საზოგადოებრივი ინტერესი მოწამლული ჯარისკაცების საქმის გამოძიებაზე და 2013 წლის 18 ოქტომბერს, მარიკა არევაძემ და „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თემა ხელახლა წამოსწიეს. მათი თქმით, **მოწამლულ ჯარისკაცთა რიცხვი 700-მდე ავიდა, რასაც ამ ჯარისკაცების ოჯახის წევრები ადასტურებდნენ. ეს ამბავი, საბოლოოდ, თავდაცვის სამინისტროს კვების პროდუქტების კომპანიამაც დაადასტურა, თუმცა იმ დროისთვის გამოძიება დუმდა. ამ დუმილის მიზეზი კი სწორედ ის იყო, რომ ალასანიას უწყებამ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეს „საიდუმლო“ გრიფი დაადო. სულ რამდენიმე საათში, ამ ამბავს ჯერ კიდევ მოქმედი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი უაღრესი აღშფოთებით გამოეხმაურა: „ჯარისკაცების მოწამვლის პირველი შემთხვევა რომ მოხდა, ალასანიამ თვითონ დამირეკა და განმიმარტა, რომ 7-8 კაცი იყო შეუძლოდ. ახლა მეორედ მოხდა იგივე, მაგრამ ალასანიას აღარ დაურეკავს. არ ვიცოდი, თუ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ედო. რა ხდება, სააკაშვილის მთავრობაა? ვინ დაადო საიდუმლო? რა სახელმწიფო საიდუმლოებაა ჯარისკაცის მოწამვლა? ეს კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს და რა თქმა უნდა, ამ საკითხით დავინტერესდები. ხვალ მთავრობის სხდომა მაქვს და სიტუაციაში აუცილებლად გავერკვევი“.** როგორც ჩანს, გაერკვა კიდეც, რადგან, როგორც დღეს პროკურატურა აცხადებს, საქმე სწორედ 2013 წლის 18 ოქტომბერს აღიძრა. რა როლი შეიტანა საქმის დაძვრაში ბიძინა ივანიშვილმა, ცალკე საკითხია, მაგრამ ეს თუ მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირებაა, 700 მოწამლულ ჯარისკაცს რა ვუყოთ — ისინი ხომ მართლა არსებობენ, მკურნალობდნენ და დაზარალდნენ. დღეს პროკურატურა გვეუბნება, რომ 2013 წელს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა დაავადების 10 შემთხვევა დაფიქსირდა. მთლიანობაში, საკვებით 858 სამხედრო მოინამლა, საიდანაც 90, მძიმე მდგომარეობის გამო, სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ამ ფაქტზე გამოძიება, თავიდან, უწყებისავე სამხედრო პოლიციამ დაიწყო, მაგრამ არც გადაუდებელი მოკვლევა ჩატარებულა, არც ლაბორატორიული დასკვნები დადებულა და ამან გამოძიების მიმდინარეობას ხელი შეუშალა. 2013 წლის 18 ოქტომბერს საქმეს ხელი მთავარმა პროკურატურამ მოკიდა და იმაზე სწრაფად და ეფექტურად, ვიდრე ეს ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების შემთხვევაში მოხდა, დასკვნა „ოცნების“ მაღალჩინოსანს, ირაკლი ალასანიას დაუდო: **„თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი მედეა ბეთაშვილი, შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის მთავარი ექიმი მიხეილ ბესტაევი, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი ოთარ ჯეჯეია, მესამე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი აკაკი გიორგაძე, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი ლაშა გელოვანი და მეათე კადრირებული ბრიგადის სასადილოს მენეჯერი თორნიკე ხუბუა, ამ თანამდებობებზე მუშაობისას, გულგრილად ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არ უზრუნველყოფდნენ სასადილოებში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობასა და კონტროლს... ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური და მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მზა პროდუქტის ნიმუშები არ შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს და უვარგისი იყო მოხმარებისათვის. საკვების ნიმუშები შეიცავდა აურეუსის, ეშერიხია კოლისა და ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიებს. სასადილოდან გარეცხილი და გამოსაყენებლად გამზადებული ინვენტარიდან, ასევე მომსახურე პერსონალის ხელებიდან აღებული ნაცხების მიკრობიოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ არ იყო დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური, პერსონალის პირადი ჰიგიენის ნორმები, რამაც სამხედრო ნაწილების ნორმალურად ფუნქციონირება შეაფერხა და დაირღვა სამხედრო მოსამსახურეებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები“.** პროკურატურამ დასახელებულ პირებს ბრალი წარუდგინა, გამოძიება კი კვლავ მიმდინარეობს.

აი, ასეთი ჩახლართული ისტორია და დიდი ბეგრაუნდი აქვს საკვებით მოწამლული ჯარისკაცების ისტორიას. ამ ბეგრაუნდის დავიწყება და მარტო იმაზე საუბარი, რომ დღეს ვიღაცა ვიღაცას ებრძვის, უბრალოდ, თავის მოტყუებაა. თორემ კოალიციაში რომ სერიოზული დაპირისპირებაა და ყოველდღე სათუოა, ივანიშვილის რჩეულთა რიგებს რომელიმე პარტია გამოაკლდეს, ეს ისედაც ხელისგულზე დევს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ირაკლი ალასანიამ ბრიფინგი საკუთარი პარტიის ოფისში გამართა, პარალელურ რეჟიმში კი ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის უმრავლესობის წევრებსა და მინისტრთა კაბინეტს ხვდებოდა. ალასანიამ ქოთანს ყური, ამჯერად, სულ სხვა მხრიდან მიაბა — მისი თქმით, პროკურატურის მოქმედებები პირდაპირი პოლიტიკური დარტყმაა ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსსა და ნატო-სკენ სწრაფვაზე. ალასანია თანაკოალიციელებთან ღია მსჯელობის გაშლას აპირებს, ფინალი კი მარტივი გამოსაცნობია: როცა 2008 წელს მან ნაციონალების საგარეო ფრონტი დატოვა და საქართველოში ნომერ პირველი ოპოზიციონერის შარავანდედით ჩამოვიდა, უარი თქვა, ამ ბრძოლის მედროშე ყოფილიყო. როცა შედგა პოლიტიკური „რვიანი“, რომელიც მერე „ექვსიანად“ გადაკეთდა, მაშინაც უარი თქვა ღია კონფრონტაციაზე. ერთი წლის მერე, ადგილობრივი არჩევნების დროს, როცა ალასანიამ, მემარჯვენეებმა და რესპუბლიკელებმა უპრეცედენტო ალიანსი გააკეთეს, ალასანია ზურაბ ნოღაიდელს ჭადრაკის სასახლეში შეხვდა, მერე შეხვდა სერგეი ლავროვს და რეიტინგი ელვის სისწრაფით დაიგდო, რითაც მესამედ თქვა უარი, ოპოზიციური ბრძოლის მედროშეობაზე. ამის მერე, ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში აღმოჩნდა და იმის მიუხედავად, რომ სურვილი ჰქონდა, უარი თქვა, ებრძოლა კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატობისთვის, ან კოალიციიდან წამოსულიყო და საკუთარ, არცთუ სუსტ პარტიას პრეზიდენტობის პარტიულ კანდიდატად დაესახელებინა. ირაკლი ალასანიამ ამჯერადაც უარი თქვა პრემიერ ღარიბაშვილთან ღია დაპირისპირებაზე და წკეპლა პროკურატურას გადაჰკრა — ახლა საზოგადოებამ თავად ივარაუდოს, რას იზამს ალასანია მომავალში: დატოვებს კოალიციას და ერთ-ერთი უპირობო ლიდერი გახდება ქართულ პოლიტსივრცეში თუ კვლავ ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რასაც დიპლომატიურ ენაზე ლავირება ეწოდება.

ვერსიანიუსი

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში ახალქალაქის 4-მა მაცხოვრებელმა წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა: სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 1220 საბრძოლო ვაზნა, 14 ცალი ყუმბარმტყორცნი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

სულ ჩაბარებულია: „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი — ე.წ. აბრეზი, სხვადასხვა ტიპის 1220 ვაზნა, 4 ჭურვი, 44 ამფეთქი კაფსულა, სხვადასხვა ტიპის 8 ხელყუმბარა, „ერ-პე-გე“-ს ტიპის 14 ყუმბარმტყორცნი, ნაღმმტყორცნის 3 ნაღმი, 3 სასიგნალო რაკეტა, ტყვიამფრქვევის დასადგამი 3 ფეხი, ნაღმის 2 კაფსულა და „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

დავით ბერძენიშვილი: „კოალიციიდან ვერავინ გაგვაგდებს“

დაუჭერენ თუ არა მხარს რესპუბლიკელები ირაკლი აღასანიას

ეროსუდან შელია
557-100-768

„რესპუბლიკელები“ თავდაცვის მინისტრს მხარს ღიად უჭერენ. მეტიც, „ვერსიასთან“ საუბრისას დავით ბერძენიშვილი კოალიციის ლიდერებს აფრთხილებს, რომ რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე გაერთიანება ვერ იფუნქციონირებს და „ქართული ოცნება“ პარლამენტშიც უმრავლესობას დაკარგავს. ვინ დაიწყო პოლიტიკური ბრძოლა ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ, რა რჩევები აქვს პრემიერ-მინისტრთან და მართავენ თუ არა ქვეყანაში პოლიტიკას სპეცსამსახურების წარმომადგენლები? „ვერსიის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უმრავლესობის წევრი ДАВИТ БЕРДЗЕНИШВИЛИ პასუხობს.

— ბატონო დავით, პროკურატურის მორიგი განცხადება თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ბრალის წაყენების შესახებ, არ ადასტურებს, რომ ირაკლი ალასანია კოალიციის „აუტსაიდერებში“ აღმოჩნდა?

— ხაზგასმით ვამბობ, პრობლემა გაჩნდა არა თავისუფალ დემოკრატებთან, არამედ ირაკლი ალასანიასთან, როგორც პარტიის ლიდერთან და არა მხოლოდ როგორც თავდაცვის მინისტრთან. ქართულ პოლიტიკასა და კოალიციაშიც, რესპუბლიკური პარტიისთვის მთავარი პარტნიორები სწორედ თავისუფალი დემოკრატები არიან. ორივე პოლიტიკური ძალა ლიბერალური ოჯახის წევრია. კოალიციაშიც პირველები ჩვენ გავწევრიანდით, დანარჩენი პარტიები მოგვიანებით აიკინძნენ. თუ ვინმეს ჰქონდა ილუზია, რომ პროკურატურის განცხადების შემდეგ თავისუფალი დემოკრატები დაიშლებოდნენ, მოლოდინი ყალბი იყო. კარგია, რომ ახლა ისინი თვალს რეალობას გაუსწორებენ, რადგან ირაკლი ალასანიას პარტია ერთიან პოზიციაზეა!

— ადასტურებთ, რომ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის დაწყების მთავარი მიზანი 8 ნოემბრის ყრილობამდე მისი პარტიის დაშლა იყო? ეს პროცესი ვინ დაიწყო?

— არ ვიცი, სხვის მოტივებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ შესაძლოა ვიღაცას მართლაც გაუკვირდა, რომ ირაკლი ალასანიას უწყებისადმი გაჟღერებული ბრალდებების შემდეგ თავისუფალი დემოკრატები არ დაიშალნენ. ამ პროცესს პოლიტიკურ ბრძოლასაც ვერ დავარქმევ, მაგრამ პრემიერს არ უნდა ეთქვა, ირაკლი ალასანიასთან კითხვები მაქვსო. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან როგორც პროკურატურა, ისე თავდაცვის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი სტრუქტურებია და ორივე უწყება პრემიერს ექვემდებარება. ირაკლი ღარიბაშვილს არ უნდა გამოუვიდეს ისე, რომ თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგაა განწყობილი და პროკურატურას მხარს უჭერს.

— ანუ დღეს ირაკლი ღარიბაშვილი ალასანიას მოწინააღმდეგე მხარეა?

— მართლაც გაჩნდა კითხვა, პრემიერი მხარე ხომ არ არის? ეს უფრო პოლიტიკური გამოცდილების ამბავია. პრემიერს ტერმინოლოგიური პრობლემები აქვს, რაც ადრეც გამოიკვეთა: ერთ განცხადებაში აღნიშნა, 25 წელი აფხაზები თვითგამორკვევის პროცესში იყვნენო. მოგვიანებით კი, მათ ავტონომია შესთავაზა. ორივე ხარვეზიანი ტერმინია. არადა მას მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ყავს, რომელსაც ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ის „თვითგამორკვევას“ და „ავტონომიას“ არასოდეს ამბობს. ამიტომ პირველ რიგში, შენი მთავრობის მინისტრს უნდა მოუსმინო და ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებს, რომლებიც კონფლიქტებში კვალიფიციურად ვერ ერკვევიან, არ უნდა დაეყრდნო.

— ვინ ერთიანდება ამ ჯგუფში, თუ იმ არაფორმალურ პირებზე საუბრობთ, რომლებზეც ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, ზოგიერთებს ირაკლი ღარიბაშვილი „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე მოსწონთო.

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ კრიტიკულად ჩემი ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობის გამო ვსაუბრობ. რესპუბლიკური პარტიის პრაგმატული ინტერესია ამ ორ წელიწადში კოალიცია წარმატებული ხელისუფლება გახდეს. ღარიბაშვილთან 10-დან 8 საკითხში ვთანხმდებით და მას როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირს ვგულშემატკივრობ. ღარიბაშვილს, რომელიც პრემიერიცაა, „ქართული ოცნების“ და კოალიციის ლიდერიცაა და ყველა საბჭოს ხელმძღვანელია, ყველა ტვირთის საკუთარ თავზე აღება ეფექტურ მუშაობაში ხელს შეუშლის და არც ქვეყანას არგებს. დემოკრატია კი, პასუხისმგებლობის განაწილებას ნიშნავს.

— რესპუბლიკელები მეტ თანამდებობას ითხოვთ?

— არ გვაინტერესებს თანამდებობა. უბრალოდ არასწორია, როცა ყველაფერი ერთ ვერტიკალზეა ჩამოკიდებული. ღარიბაშვილს აქვს ბევრი ფუნქცია, ჩვენ გვაქვს ის, რაც გვაქვს. იმასაც ვიტყვი, რომ პოლიტიკაში ყველაფერი თვლითაა, კოალიცია მისი სუბიექტების, გნებავთ „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“ გარეშე ვერ იფუნქციონირებს. მით უმეტეს, თუ ორივე ერთად გამოეთიშა გაერთიანებას, პარლამენტში უმრავლესობა არ ეყოლება.

— ეს მუქარაა თუ კოალიციიდან თქვენი და „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის დაანონსება?

— არავითარი მუქარა ან რამე სხვა. უბრალოდ, ღიად ვსაუბრობ. კოალიციის ფუნქციონირების დასრულებით დაინტერესებულნი არ ვართ. ამით ჩვენც დავზარალდებით, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ირაკლი ალასანია ქვეყნის შიგნით საკმაოდ პოპულარული ლიდერია. თანაც პოლიტიკოსის რეიტინგის გასაზრდელად თავდაცვის სამინისტრო კარგი დასაწყისია, მით უმეტეს, თუ წარმატებული მინისტრიც ხარ. ამ ქვეყანაში თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელებიც დასავლეთისთვის სანდო პარტნიორები არიან. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, შავით თეთრზე, ეწერა, ევროპულ-დემოკრატიულ ძალებს მოგმართავთო. ზუსტად ვიცი, რომ ეს ჩვენი მისამართით ითქვა.

— თქვენი ლოგიკით, ირაკლი ალასანიას მიმართ კითხვების გაჩენით, პრემიერი დასავლეთზე უარს ამბობს?

— ქვეყნის დასავლურ არჩევანში ბიძინა ივანიშვილის პოზიცია მყარია.

— მოქალაქე ბიძინა ივანიშვილის სიმყარე კოალიციის ლიდერებისთვის გადამწყვეტია?

— ეს ირაკლი ღარიბაშვილს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ თავად პრემიერი არ მალავს, რომ ბიძინა ივანიშვილს ანგარიშს უწევს და მასთან კონსულტაციებიც აქვს... არასოდეს მითქვამს და ახლა პირველად ვიტყვი. როცა გარკვეული ადამიანების ჯგუფი ბიძინა ივანიშვილს მიმართავდა, გვიყვარხარ, მაგრამ კოალიციიდან „რესპუბლიკელები“ გააგდეო, ივანიშვილი გადაგვეფარა, ისინი ჩემი პოლიტიკური პარტნიორები არიანო. ეს პატიოსანი და სწორი პოზიცია იყო. ღარიბაშვილს ახლაც მიმართავენ, კოალიციიდან რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ გარიცხეო... ამას წერტილი დაესმება თუ საქართველოს პრემიერი მკაფიოდ და საჯაროდ იტყვის — ეს ხალხი ჩემი პოლიტიკური პარტნიორები არიანო... ირაკლი ღარიბაშვილის საყვარელი ტერმინით რომ ვთქვათ, ეს ჩემი გუნდია და ვინც მე მაქებთ, მაგრამ ჩემ პარტნიორებს აგინებთ, ჩემთვის საინტერესო პირები არ ხართო.

— როგორ ფიქრობთ, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდაჭერა რატომ ვერ დაიმსახურეთ?

— ჩვენ ამით არ ვზარალდებით, მაგრამ ვიღაცებს უჩნდებათ ილუზიები, თუ რესპუბლიკელებსა და ალასანიას პარტიას ვაგინებთ, ამით რაღაცას გამოვრჩებითო. ამიტომ გვაქვს მოლოდინი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ასეთ ადამიანებს წკიპურტით მიანიშნებს, როგორც ეს მისმა წინამორბედმა, გამზრდელმა და მასწავლებელმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. თუ ამ განცხადებას ვერ მოვისმენთ, არ გავებუტებით და არც კოალიციაში გავაჩენთ პრობლემებს, მაგრამ საზოგადოებამ შესაძლოა სხვაგვარად გაიგოს.

— უკვე ხომ არ უქმნით პრობლემებს კოალიციას — „რესპუბლიკელები“ საკმაოდ კრიტიკულ განცხადებას ავრცელებთ და საკუთარ პირობებს აყენებთ, პირადად თქვენ ხელისუფლებას „ცუდ მთავრობას“ უწოდებთ და „ქართულ ოცნებას“ აქტივისტების დასაქმებაში ადანაშაულებთ.

— ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და თვითმმართველობის არჩევნების დასრულების შემდეგ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ იმსჯელა და დაასკვნა, რომ ახალ პოლიტიკურ ფაზაში უნდა გადავიდეთ. ორი წელი გავიდა, რაც ივანიშვილის მიერ შექმნილმა კოალიციამ მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა. ამიტომ წინა ორი წლის პოლიტიკური დღის წესრიგი წარსულში უნდა დავტოვოთ. დამარცხებული ნაციონალური მოძრაობა როდის რას გააკეთებს, ეს მათი პოლიტიკური დღის წესრიგია და ეს კოალიციის დღის წესრიგი არ უნდა იყოს. კოალიციის ამოცანა ახალ გამოწვევებთან გამკლავებაა. შევარდნაძის დროს მოდერნიზაციის გარეშე სიტყვის თავისუფლებამ პოლიტიკური ჭაობი შექმნა. სააკაშვილის დროს კი, მოდერნიზაცია სიტყვის თავისუფლების ხარჯზე დაიწყო, რაც ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა.

— ახლა რომელი წინამორბედის გზას ადგას კოალიცია?

— ერთადერთი შესაძლებლობა იმისთვის, ქვეყანა ევროპას დაეწიოს დემოკრატიული მოდერნიზაციაა. ამ მიმართულებით სააკაშვილის ნარჩენები გადმოგვყვა. სააკაშვილი ქვეყანას, განსაკუთრებით კი, ქვემო ქართლსა და ჯავახეთს სოდ-ის, კუდ-ისა და სხვა სპეცსამსახურების მეშვეობით მართავდა. დღესაც სუს-ი და კონტრდაზვერვა პასუხისმგებლობას იღებს იმ საკითხებზე, რაც კანონით განსაზღვრული არ აქვს და არც მის ფუნქციაში შედის.

— კონკრეტული მაგალითებით ვისაუბროთ, რა უწყებას მართავენ სპეცსამსახურები?

— მაგალითად, მარნეულში გამგებლის თანამდებობაზე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი შეირჩა. არის ცალკეული გამოვლინებები, როცა გუბერნატორის თუ გუბერნატორის მოადგილის დანიშვნაში სპეცსამსახურები ერევა. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ახალქალაქში თავისი პოზიცია პრინციპულად დაიცვა და შესაბამისი სტრუქტურებისგან რეკომენდაციები არ მივიღეთ, რისი მცდელობაც თვითმმართველობის არჩევნებამდე რეალურად იყო. კიდევ ერთი საკითხი: თვითმმართველობის რეფორმის გატარებისას კანონში ჩავწერეთ, რომ ცენტრსა და თვითმმართველობას შორის 1 სექტემბრიდან ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო გადასახადის გაყოფის პროპორციები უნდა წარმოედგინა, რაც ხადურმა არ გააკეთა და კანონი დაარღვია. ამიტომ 2015 წლის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის რაიმე წილი, თუნდაც მინიმალური თვითმმართველობებს არ ექნება. ანუ 50%-იანი ბარიერით მშიერი მერები და გამგებლები ავირჩიეთ. ამ პროცესმა თვითმმართველობის რეფორმაში სტაგნაცია გამოიწვია. საერთოდ, ხადურს ვერჩი! გასაგებია, ფინანსთა მინისტრი ძუნწი უნდა იყოს, მაგრამ ეს ჩვენი ხადური განსაკუთრებით ძუნწია.

— ფიქრობთ, ამ ყველაფრის შემდეგ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და რესპუბლიკელების ადგილი კოალიციაში რჩება?

— თუ ამ პრობლემის ამოსაწურად სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგა, კოალიცია ამ ფორმით დარჩება, მაგრამ სხვა მოდელზე გადავა — ცალკეულ საკითხებზე მეტი დროის დახარჯვა მოგვიწევს და არჩევნებამდე ასე მივალთ. უტრირებულად რომ ვთქვათ — კოალიციიდან არ მივდივართ და ვერც ვერავინ გაგვაგდებს. თუმცა კოალიციაში ოპონირების დაწყება ნაციონლური მოძრაობისთვის ოპონირების სივრცეს ამცირებს.

ВЕРСИАНИУСИ

არასამთავრობოთა საკანონმდებლო წინადადებით, ფარული მოსმენების ერთი „გასაღები“ სასამართლოს, მეორე — კომუნიკაციების კომპანიას ექნება

ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან პერსონალური მონაცემების მოპოვებასთან დაკავშირებით პარლამენტს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების საკანონმდებლო წინადადება წარედგინა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში საკანონმდებლო წინადადების ავტორი ეკა გიგაური, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, კახა კოჟორიძე და ლიკა საჯაია არიან. მათ საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში გასულ კვირას დაარეგისტრირეს, გუშინ კი მისი წარდგენა ბიუროს სხდომაზე მოხდა.

პროექტის თანახმად, უქმდება სისტემა, რომლის მიხედვით, შს სამინისტროს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ გადაცემულ კომუნიკაციაზე უკონტროლო წვდომა აქვს — სამართალდამცავი ორგანოები კომუნიკაციაზე წვდომას მისთვის სასამართლო განჩინების ან გადაუდებელ შემთხვევაში, პროკურატურის დადგენილების წარდგენის შემდეგ განახორციელებენ.

პროექტი ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს, რომლის თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ კომუნიკაციის მიღება, თუ ინფორმაციაზე დაშვებას ტექნიკურად ერთდროულად ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია და სასამართლო განახორციელებს. ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია და სასამართლო შეწყვეტენ სამართალდამცავი ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდებას, თუკი ლეგიტიმური საფუძველი აღარ არსებობს. პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების თანახმად, აღნიშნული სისტემის ამოქმედება დაგეგმილია 2016 წლის 1-ელი იანვრიდან.

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ეკა გიგაურის, ლაშა ტუღუშის, ზვიად ქორიძის, კახა კოჟორიძისა და ლიკა საჯაიას საკანონმდებლო წინადადება განსახილველად პარლამენტის კომიტეტებს გადაეცა. კომიტეტების გადაწყვეტილებით, მოხდება პარლამენტში მისი ინიცირება ან ინიცირებაზე უარის თქმა.

„ინტერპრესნიუსი“

კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა ეკრძალებათ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) გადაწყვეტილებით, ქვეყანაში მოქმედ კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა ეკრძალებათ. ამიერიდან, საბანკო სექტორი მხოლოდ ტრადიციული საფინანსო მომსახურების მიწოდებით შემოიფარგლება. მეტიც, არაპროფილური საქმიანობის წამოსაწყებად, ახალი ნებართვების გაცემის მეთოდიც საგრძნობლად გამკაცრდება, რაც 2008 წლამდე არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაშია. იმ კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც ასეთ საქმიანობაში უკვე ჩართულები არიან, 30 კალენდარული დღის ვადაში, სებ-ს ბანკის არასაფინანსო სფეროდან ეტაპობრივად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე, გამოსვლის დეტალური სტრატეგია უნდა წარუდგინონ.

გიორგი ქადაგიძის ახალი რეგულაციით, ბანკებმა სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიები 2015 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დათმონ

თითქმის ერთთვიანი მუშაობის შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ახალი რეგულაცია შეიმუშავა, რომლითაც კომერციული ბანკები არაპროფილური აქტივებისგან უნდა გათავისუფლდნენ. სებ-ის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, თავდაპირველად დეველოპერებს, შემდეგ კი ბიზნესსექტორის სხვადასხვა წარმომადგენლებსაც შეხვდა. ამ შეხვედრებისა და საერთაშორისო პრაქტიკის განხილვის შემდეგ, სებ-მა საბანკო სექტორის არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხი შეისწავლა. ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ამ საკითხზე სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მიდგომებია. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში, რეგულატორების პოლიტიკაში ისეთი ტენდენცია იკვეთება, რომელიც ბანკებს უძრავი ქონებისა და სხვა არასაფინანსო სექტორებში ჩართვას უზღუდავს, მათ შორის, კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიების საშუალებითაც.

„დღეს, აღნიშნული საქმიანობის მასშტაბი, საქართველოში შედარებით მცირეა. ბანკების მხრიდან არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვის მიმართ ეროვნული ბანკის ლიბერალური დამოკიდებულება იმ პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი იყო, რომელიც 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგულაციის შერბილებასთან ერთად შემუშავდა. ამ ეტაპზე, მსგავსი მიდგომის შენარჩუნების აუცილებლობა აღარ არსებობს და აღნიშნულმა პაკეტმა თავი მთლიანად ამოწურა. უძრავი ქონების სექტორის გაჯანსაღების ტენდენციისა და ბანკების არაპროფილური საქმიანობის მზარდი მასშტაბების გამო, დღის წესრიგში საზედამხედველო მიდგომის ცვლილების აუცილებლობა დადგა. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ბანკების არაპროფილურ საქმიანობაში ჩართულობა სებ-მა სექტორისათვის რისკის შემცველ ფაქტორად მიიჩნია. ეს პრაქტიკა ინტერესთა კონფლიქტის რისკს აჩენს, ხოლო ეკონომიკის რეალურ სექტორში, კონკურენციაზე უარყოფითი ზეგავლენის არიდება — დამატებითი ფაქტორია. კომერციული ბანკის აქციონერების მიერ, სებ-ი არასაბანკო სფეროში ინვესტიციების განხორციელების პრაქტიკას მიესალმება, თუ აღნიშნული, უშუალოდ ბანკების მიერ არ ხორციელდება და დამატებით რისკებს არ წარმოქმნის“, — აღნიშნულია სებ-ის განცხადებაში.

2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, საერთაშორისო ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ უმჯობესია, კომერციული ბანკები მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ, რაც ზოგადად, ბანკის მთავარი ფუნქციაა და სასურველია, თუკი არაპროფილური აქტივებისგან გათავისუფლდებოდნენ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კომერციული ბანკების გაკოტრებით დაიწყო და „დომინოს პრინციპით“, ეს პროცესი ჯერ სამშენებლო, შემდეგ კი ბიზნესის სხვადასხვა დარგებსაც გადაედო. ასეთ მასშტაბურ კრიზისს მარტივი ახსნა ჰქონდა, რადგან სამშენებლო, თუ დეველოპერული კომპანიები, სწორედ კომერციული ბანკების ქოლგის ქვეშ არსებობდნენ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაანალიზების შედეგად, ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ უნივერსალურ საბანკო სექტორს, ისევ კლასიკური სჯობდა.

მართალია, საქართველოს კომერციულ ბანკებში არაპროფილური აქტივების ჯამი 1%-ზე მეტი არ არის, მაგრამ ეს მაინც დიდი წილია. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ სებ-ის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ამ საკითხის შესწავლა დაიწყო. თუმცა არაპროფილური აქტივებისგან ბანკების გათავისუფლების იდეა, მაინც „ექსპერტთა ოთხეულს“ — ლევან კალანდაძეს, ლევან ალაფიშვილს, გიორგი აბაშიძილსა და ირაკლი ლექვინაძეს ეკუთვნის. ამ ოთხეულის ერთწლიანმა კამპანიამ შედეგი გამოიღო, რასაც 2014 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ქვეყნის მთავარი ბანკირის, გიორგი ქადაგიძის მკვეთრი განცხადებაც მოჰყვა.

ახალ რეგულაციაზე მუშაობა სებ-ისა და დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლების შეხვედრით დაიწყო, სადაც სამი, ძირითადი საკითხი განიხილეს. სებ-ის მიერ, ლარში იპოთეკური სესხების ხელშეწყობის პროგრამა, რის გამოც ლარში გაცემული იპოთეკური სესხების წილი გაიზარდა და რამაც სამშენებლო სფერო გამოაცოცხლა; უშუალოდ დეველოპერების წინაშე არსებული გამოწვევები, განსაკუთრებით კომერციულ ბანკებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტები, რაც ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობას უკავშირდება.

ერთი თვის წინ, ქადაგიძე ამბობდა, რომ სებ-ის გადაწყვეტილებას უნდა განესაზღვრა, რა მიმართულებით განვითარდებოდა ფინანსური და დეველოპერული სექტორები ქვეყანაში: **„ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, გვქონდეს მკაფიო ბარიერი, რათა მეანაბრეთა თანხა ისეთი სეგმენტებისკენ არ იყოს მიმართული, რაც კლასიკური საბანკო საქმიანობა არ არის. ამასთან, არც ერთი ბანკის აქციონერს, არავინ აუკრძალავს, ინვესტიცია სხვა ინდუსტრიებში განახორციელოს“.** გიორგი ქადაგიძის განმარტებით, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაცია, კომერციულ ბანკებსა და დეველოპერულ ინდუსტრიას შორის, კონფლიქტის ყველა შესაძლო რისკს ამოწურავს.

ეკონომიკის ექსპერტების გარდა, სებ-ის ახალ რეგულაციას დეველოპერული და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებიც გამარჯვებად თვლიან. სწორედ დეველოპერები აცხადებდნენ, რომ არაპროფილური აქტივების ფლობის გამო, ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენტული გარემო იყო. წარმოიდგინეთ სიტუაცია, ხართ სამშენებლო კომპანიის მფლობელი, მიდიხართ ბანკში კრედიტის ასაღებად, მაგრამ ამ ბანკს არაპროფილური აქტივის სახით, საკუთარი სამშენებლო კომპანია უკვე აქვს. გამოდის, თქვენ, როგორც ბანკის პირდაპირი კონკურენტი, კრედიტს ითხოვთ, თანაც შეღავათიანი პირობებით. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ნებისმიერი კრედიტის, ან სესხის დამტკიცების დროს, ბანკში თქვენი კომპანიის ფინანსური და კომერციული ინფორმაციის გამჟღავნებაც გიწევთ, რადგან სხვაგვარად, სესხს ვერ მიიღებთ. გამოდის, თქვენივე ნებით, თქვენსავე კონკურენტს, კომერციულ საიდუმლოს უმჟღავნებთ, რაც თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ეწინააღმდეგება და ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის არსებობას ხელს უშლის. საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაცია, სწორედ ამ ტიპის რისკ-ფაქტორებს ამცირებს და რაც მთავარია, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის არსებობას უწყობს ხელს.

სებ-ის ახალი რეგულაციით, კომერციული ბანკების წარმომადგენლებმა, რომლებიც არაპროფილურ აქტივებს ფლობენ, 30 დღის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა მიმართონ და არასაფინანსო აქტივებისგან გათავისუფლების დეტალური სტრატეგია წარადგინონ. არაპროფილური აქტივებისგან კომერციული ბანკები ეტაპობრივად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე უნდა გათავისუფლდნენ. ექსპერტების შეფასებით, ეს სრულიად საკმარისი დროა, რომ პროცესმა უმტკივნეულოდ და ფინანსური დანაკარგის გარეშე ჩაიაროს. თუმცა, სებ-ის ახალ რეგულაციაში ერთი „გასაძვრომი“ მაინც რჩება: კომერციული ბანკების აქციონერებს არავინ უკრძალავს, არასაბანკო სფეროში ინვესტიციები განახორციელონ, თუკი ამ ინვესტიციას კომერციული ბანკი არ გასცემს. მეორე მხრივ, ამავე ლოგიკით, ნებისმიერი კომერციული ბანკის აქციონერს შეუძლია, არაპროფილური აქტივის სახით, ბანკის კუთვნილი სამშენებლო თუ სხვა ტიპის კომპანია გადაიფორმოს. მართალია, ეს კომპანია ბანკის არაპროფილურ აქტივად აღარ ჩაითვლება, მაგრამ სამაგიეროდ, ამავე ბანკის აქციონერის საკუთრებაში დარჩება.

კომერციული ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი **ზურაბ გვასალია** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სებ-ის ახალი რეგულაციის შემოღების გადაუდებელი აუცილებლობა ნამდვილად არ ყოფილა: **„პროცენტულ მაჩვენებლებსაც რომ თავი დავანებოთ, ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია და სამომავლოდ, არც მონოპოლიების ჩამოყალიბების საფრთხე ემუქრებოდა ბაზარს. გარკვეულწილად, ამ რეგულაციის შემოღება პრევენციული ნორმა იყო, რადგან საბანკო სექტორი სერიოზული რეპუტაციული რისკის წინაშე იდგა. ხშირად საბანკო სექტორისკენ ხელს უსამართლოდ იშვერდნენ, როდესაც აცხადებდნენ, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო, ბანკები სესხებს არ გასცემდნენ იმ სეგმენტზე, სადაც არაპროფილურ აქტივებს ფლობდნენ. ეს ყველაზე მტკივნეული თემა იყო სამშენებლო ბიზნესისთვის და ისინი ხელს ერთი, კონკრეტული ბანკისკენ იშვერდნენ მაშინ, როდესაც ქვეყანაში კიდევ 19 კომერციული ბანკია. მშენებლების პრობლემა სესხების არგაცემა იყო, მაგრამ არავინ საუბრობდა, რომ ამ კომპანიებს, მათი დაბალი კაპიტალიზაციის გამო არ უმტკიცებდნენ სესხებს. ამ რეგულაციის შემოღებით, რეპუტაციული რისკი გამოირიცხა, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ბანკი ნდობის ინსტიტუტია. როდესაც აცხადებენ, რომ ბანკები ბიზნესთან კონფლიქტში შედიან, ეს სერიოზული ბრალდებაა, რაც საბანკო სექტორის რეპუტაციას აზიანებს. საბანკო სექტორს არ უღირს, რომ რეპუტაციული რისკის საფრთხის წინაშე დადგეს და რაც მთავარია, არაპროფილური აქტივებიც არ არის მისთვის მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, ახალი რეგულაციის შემოღებით, ეროვნულმა ბანკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო“.**

ზურაბ გვასალიამ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ არაპროფილური აქტივები კომერციულ ბანკებში დალხენილი ცხოვრების შედეგად არ გაჩენილა. ეს ის კომპანიებია, რომლებიც ბანკებში „ჩარჩნენ“, რადგან აუქციონზე კი გაიტანეს, მაგრამ მყიდველი არ გამოუჩნდა. შესაბამისად, კომერციული ბანკები იძულებულები იყვნენ, ამ ტიპის კომპანიების აქტივების კაპიტალიზაცია თავად განეხორციელებინათ. მისი თქმით, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, საქართველოს კომერციული ბანკები ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, საქართველოს სამშენებლო ბიზნესი ბევრად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და არც შეჩერებული მშენებლობები დასრულდებოდა: **„რაც შეეხება სებ-ის ახალ რეგულაციას, ბანკებს სწორედ სამშენებლო და დეველოპერული კომპანიების დათმობა მოუწევთ. სხვა საფინანსო ინდუსტრიები, მაგალითად, სადაზღვევო, საბროკერო, სალიზინგო, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედი საბროკერო კომპანიები ბანკებს დარჩეთ, რადგან ისინი არაპროფილურ აქტივებად არ ითვლებიან. არაპროფილური აქტივებისგან გათავისუფლების შედეგად, ბანკები ფინანსურად არ დაზარალდებიან, არც მათი მოგება შემცირდება. მეტიც, ერთწლიანი პერიოდი საკმაოდ გონივრული ვადაა, მაგრამ ვფიქრობ, ერთი წელიც კი არ დასჭირდებათ ბანკებს, რომ არაპროფილური აქტივები დათმონ“.**

ვერსიანიუსი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაიწყო

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 5 ნოემბერს დაიწყო და 19 ნოემბერს დასრულდება. ის მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გარდა. საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს აღწერაში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით: აღწერა, მასშტაბითა და შინაარსით, წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო წყაროს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. 2014 წლის საყოველთაო აღწერის ხელშეწყობისა და ხარისხიანი მონაცემების შეგროვების მიზნით შვედეთის მთავრობასა და გაერო-ს მოსახლეობის ფონდს შორის გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შვედეთის მთავრობამ 1,100,000 აშშ დოლარზე მეტი დამატებითი რესურსი გამოყო, ხოლო გაეროს მოსახლეობის ფონდის კონტრიბუციამ 2014 წელს 200,000 აშშ დოლარი შეადგინა. სპეციალურად ამ მიზნისათვის მომზადებული 10 ათასამდე აღმწერი მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოივლის მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ყველა საცხოვრისს. მოსახლეობის აღწერის პირველადი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის აპრილში, ხოლო საბოლოო მონაცემები 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდება.

bpn.ge

ვინ მივა რეზო ამაშუკელის ყრილობაზე და გადაუვლის თუ არა თბილისს საპროტესტო აქციების ახალი ტალღა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

6 ნოემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, პოეტი რეზო ამაშუკელი საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ წევრებსა და მხარდამჭერებს იწვევს და ნაციონალური მოძრაობის საბოლოო ამოძირკვას აანონსებს. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“

2012 წლის 2 ნოემბერს, საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა, რომლის მიზანიც „საქართველოსათვის წმიდათაწმიდა ღირებულებების, მამულის, ენის, სარწმუნოების, დედაეკლესიის, ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვაა“. საზოგადოებრივი მოძრაობის დაარსების იდეა რეზო ამაშუკელს ეკუთვნის და მასთან ერთად „ლაზარეს“დამფუძნებლები არიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, სახელოვანი მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, მხატვრები, ექიმები და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები. 6 ნოემბერს, პარტიის ყრილობაზე

ამაშუკელის მოწოდების ტექსტი კი ასეთია: **„წინ აღვუდგეთ ნებისმიერ ძალას, რომელიც ჩვენს გადაგვარებას ეცდება. გავერთიანდეთ და სასტიკი, შეურიგებელი ბრძოლით, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, შევეწინააღმდეგოთ და სამუდამოდ ამოვძირკვოთ ის შავი ჭირი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. შევიკრიბოთ და დავანახოთ ნაციონალებს, ლობისტებს, მფარველებსა და მთელ მსოფლიოს, რომ ქართველი ხალხი სამშობლოს დამაქცევრებსა და გამაუბედურებლებს არაფერს აპატიებს“.**

რევაზ ამაშუკელი მხოლოდ ნაციონალებს როდი ემუქრება: **„დღევანდელი ხელისუფლება თუ არ მოტრიალდება ხალხისკენ, მაშინ ხალხი მიტრიალდება ხელისუფლებისკენ და ეს ძალიან ცუდი იქნება“.** ცოტა ხნით ადრე, მან ერთობ შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეამკო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი: **„კაცი არა ხარ, პირდაპირ გეუბნები, კაცურად მოქცევა არ შეგიძლია. ჯერ კაცი უნდა იყო და მერე პრეზიდენტი, შენ კი ორ დღეში ამოტრიალდი და ტროას ცხენივით შეიპარე კოალიციაში. მიმიფურთხებია იმ პატიმრისთვის, შენ რომ შეიწყალე. რას გავხარ, სავარძელში ჩადებული?! ერი ღალატს არასდროს გაპატიებს. სანამ მე და ჩემნაირი თავმოყვარე 100 000-ია, ვერ ეღირსები, ხალხის სიყვარული დაიმსახურო. ახლა წადი და გინდა, ნორლანდთან მიჩივლე, გინდა, ბებია-ბაბუასთან, გინდა, დუშეთში, შენს ქათმებთან და ინდაურებთან“.**

იგი ემუქრება ჟურნალისტ თენგიზ გოგოტიშვილს, ნანუკა ჟორჟოლიანს, აკაკი მინაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს: **„როგორ გგონიათ, გიგი თევზაძეს, თეა თუთბერიძეს შერჩება რამე? ან დავით ზურაბიშვილს, ან პარლამენტის თავმჯდომარე რომაა, ბანაკიდან გამოქცეულ პიონერს რომ ჰგავს?“** ემუქრებოდა და ემუქრება ნაციონალების კიდევ ერთ ლიდერს, კობა ხაბაზს, რომლის მიერ დაარსებული ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაზე, ბატონმა რეზომ პირადად მისვლა არ დაიზარა, შეძახილით: **„თქვენი დედების სატირებლად მოვედი!“**

თბილისის საპატიო მოქალაქე, ყრილობის წინ მთელი საქართველოს თუ არა, მთელი თბილისის ფეხზე დაყენებას აანონსებს, ოღონდ ჯერ კონკრეტულად არ უთქვამს, ეს ფეხზედაყენებული ხალხი მერე სად უნდა წაიყვანოს. ყრილობაზე აუცილებლად ვიხილავთ ნაციონალებთან მებრძოლ — მელორ ვაჩნაძეს, ლადო სადღობელაშვილს, გენერალ ტრისტან წითელაშვილს, ორგანიზაცია „თავისუაფლი თაობის“ სხვა წევრებს, ასევე გია კორკოტაშვილსა და სხვებს. მოკლედ, რეზო ამაშუკელის მუზას არ სძინავს, ასაკოვანი პოეტი თავს მხნედ და ენერგიულად გრძნობს და სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლასა და დაუსრულებელ აქციებს აანონსებს, მაგრამ მივიდა კი ჩვენი საზოგადოება იმ კონდიციამდე, აქციების ახალი ტალღა დაიწყოს? ან, როცა ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, ამ ტიპის განცხადებებისთვის 315-ე მუხლით საქმის აღძვრას იწყებს, „მოგკლავ“ და „გაგაქრობ“ შეძახილები სხვას რატომ უნდა ეპატიოს, იმის მიუხედავად, სხვა კომკავშირული პრემიის ლაურეატია თუ 50 პოეტური კრებულის ავტორი? აგრესიული მოწოდებები, ცნობადი სახეების მხრიდან უფრო საშიში ხომ არ არის, ვიდრე რიგითი მოქალაქეებისგან — მათ ხომ უსმენენ, ალბათ, ვიღაცას სჯერა, ვიღაცა კი ამ ე.წ. სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაჰყვება კიდეც? რა შეიცვლება პოლიტიკურ პროცესებში 6 ნოემბერს ჩანიშნული ყრილობით და გადაუვლის თუ არა დედაქალაქს საპროტესტო აქციების ახალი ტალღა — ამ კითხვით რამდენიმე ცნობილ ექსპერტს მივმართეთ. ზოგმა შეფასების გაკეთებაც კი არ ისურვა. მათი აზრით, ეს ყოვლად უპერსპექტივო ბრძოლაა და სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ამ ადამიანებს მათი სახელით მანიპულირების უფლებას აძლევს — ჯამში ხომ ყველა ასეთი ჯგუფი ხელისუფლებასთან ასოცირდება. მათი რჩევით, „ოცნებამ“ უნდა გათვალოს, რომ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ასეთი ადამიანების გააქტიურება არასწორია.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი **არჩილ გამზარდია** მიიჩნევს, ამაშუკელმა უკიდურესობამდე მისული აგრესიული ტექსტებით კარგი „პრომოუშენი“ თუ ზოგისთვის უფრო გასაგებ ენაზე, „რასკრუტკა“ გაიკეთა და ეს ყველაფერი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ ხელშეუხებლობით იფუთება: **„თვითპრომოუშენმა“ გაამართლა. როგორც კი მოქმედებაზე გადადიხარ, უკვე ამ ნათქვამისა თუ ნამოქმედარის დადებითი ან უარყოფითი შედეგი დგება. აი, ეს უკვე სახიფათოა. ასეთი ადამიანები, ვინც ძალიან კრიტიკულად და აგრესიულად არიან განწყობილნი, საკუთარ სათქმელს კი არა, ხალხის რაღაც, თუნდაც მცირე ნაწილის უკმაყოფილებასაც გამოხატავენ, ამიტომ მათ ხშირად „სიმართლის მთქმელებსაც“ უწოდებენ, ხან — მარგინალებს. ასეა თუ ისე, ხალხში ე.წ. გასავალი მაინც აქვთ — ეს სიტყვის თავისუფლებაა! საქართველოში აგრესიული, თავხედობამდე თამამი ადამიანები, რომლებიც ყველასა და ყველაფერს ლანძღავენ, ყოველთვის „გაყიდვადები“ არიან! შესაბამისად, ამ დღეს, ამ ყრილობაზე ის ხალხი მივა, ვინც ასეთივე შეურაცხყოფილი, დამცირებული და აღშფოთებულია მიმდინარე პროცესებით, როგორც ამაშუკელი. არა მგონია, ეს რიცხვი დიდი იყოს და მივიჩნევ, რომ ასეთ დესტრუქციულ პროცესებს საზოგადოების მხარდაჭერა არ უნდა ჰქონდეს — ეს არის ვერბალური, თოხითა და ბარით აჯანყებები.** ეჭვი მეპარება, ამაშუკელი იმდენ ძალაუფლებას ფლობდეს, რაღაც პროცესები დაიწყოს. ამ ტიპის ხალხი საზოგადოების კონსოლიდირებას, როგორც წესი, ვერ ახერხებს. აი, თუ ეს მოახერხა, გამოდის, დამანგრეველი პროცესი იქნება, რადგან ე.ი. სახელმწიფომ და ყველა სხვა დანარჩენმა სექტორმა ძალიან ცუდად ვიმუშავეთ და ასეთი კერის არსებობის საფუძველი შევქმენით“.

როგორც პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ფიქრობს, ნებისმიერ ყრილობასა და პროტესტს მხარდამჭერთა რაღაც რაოდენობა მაინც მოეძებნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს პროტესტი ნაციონალების წინააღმდეგაა მიმართული: **„მთავარია, რას შესთავაზებს საზოგადოებას ბატონი რეზო. თუ ამ ღონისძიებამ ნდობა დაიმსახურა, მისი გაყოლის მსურველი ბევრი იქნება. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება**

უზარმაზარი იყო, მაგრამ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფიგურას გაყვა საზოგადოების ის რაოდენობა, ვინც პროცესებში გარდატეხა შეიტანა. ამიტომ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მედროშე“. კითხვას, შეძლებს თუ არა ამაშუკელი მედროშედ იქცეს და წავა თუ არა ექსპერტი, დაპატიჟების შემთხვევაში, მის ყრილობაზე, საყვარელიძე პასუხობს: **„გააჩნია, რა იქნება გეგმა, ხაზი და მიმართულება. ასევე აქვს თუ არა კონკრეტული, რაციონალური გეგმა, თუ ეს მხოლოდ ემოციური შეძახილი იქნება. ემოციური შეძახილი უკვე იმდენი იყო, რაღაც ახლის შეთავაზებაა საჭირო. რაკი ბატონმა რეზომ ამ მოძრაობის წამოწყება გადაწყვიტა, სავარაუდოდ, მარაგში მარტო ცარიელი ემოცია არ ექნება. მე კი, ასეთი რეფლექსი მაქვს— ყველა მხარის მიტინგზე დავდივარ, პროცესი მაინტერესებს. ვინც უნდა დამიძახოს, ყველა პროცესს ავყვები, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაციონალები არ მეძახიან“.**

პრეზენტაცია

ლიბერთი ბანკის ინოვაციური პროდუქტი სავაჭრო ობიექტებისთვის

EASYPAY-ს ტერმინალზე განხორციელებული ყოველი ოპერაციიდან, სავაჭრო ობიექტი საკომისიოს მიიღებს

ლიბერთი ბანკმა მომხმარებლებს კიდევ ერთი, ახალი პროდუქტი — მრავალფუნქციური და ინოვაციური EASYPAY ტერმინალი შესთავაზა. ახალი ტერმინალის გამოყენებით, სავაჭრო და მომსახურების ობიექტები მეტ მომხმარებლებს მოიზიდავენ, სხვადასხვა სახის მომსახურებას შესთავაზებენ და შემოსავლებსაც გაზრდიან. საქართველოს საბანკო სივრცეში, EASYPAY-ს ტერმინალი ფუნქციონალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მოხმარების განსაკუთრებული სიმარტივით, უნიკალურია.

EASYPAY-ს ტერმინალის გამოყენებით, ლიბერთი ბანკის პარტნიორ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, მომხმარებლები ბანკში მიუსვლელად გაგზავნიან ან მიიღებენ ფულად გზავნილებს. მეტიც, ახალი ტერმინალის საშუალებით, ისინი კომუნალურ, თუ სხვა ტიპის გადასახადებსაც გადაიხდიან. ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის, **სანდრო რთველაძის** განცხადებით, ტერმინალის საშუალებით, მომხმარებლები ანგარიშსწორებას, როგორც ნაღდი ფულით, ასევე ნებისმიერი სხვა ბანკის მიერ გამოშვებული VISA, MASTERCARD, Union Pay International ბარათებითაც შეძლებენ. ანგარიშსწორება შესაძლებელია ლიბერთი ბანკის მიერ გამოშვებული, 1 400 000-ზე მეტი, ადგილობრივი PAY ბარათითაც: **„EASYPAY-ს ტერმინალის საშუალებით, სავაჭრო ობიექტები, საბანკო ბარათებით გადახდებს თანამედროვე, სწრაფი ტერმინალით მიიღებენ. გადასახდელი თანხის ოდენობა ტერმინალზე ავტომატურად, სავაჭრო ობიექტის მოლარის ჩარევის გარეშე აისახება. თუ ბარათს უკონტაქტო გადახდის ფუნქცია აქვს, ტერმინალზე უკონტაქტო გადახდის მიღებაც შესაძლებელია. EASYPAY-ს ტერმინალზე ბარათით გადახდის დროს, ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს, გაზრდილი რაოდენობის ქულები ლიბერთი კლუბში დაუგროვდებათ. შესაბამისად, მომხმარებელიც მოტივირებული იქნება, რომ სწორედ EASYPAY-ს პარტნიორ ობიექტებში გადაიხადონ“.**

ლიბერთი ბანკის მერჩანტების ქსელის გაფართოების ხელმძღვანელის, **ნინო თავაძის** განცხადებით, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მომხმარებელთა რაოდენობისა და გაყიდვების ზრდასთან ერთად, EASYPAY-ს პარტნიორი ობიექტი, დამატებითი შემოსავლის სახით, ტერმინალზე განხორციელებული თითოეული ოპერაციიდან საკომისიოსაც მიიღებს. მისი თქმით, რაც უფრო მეტ მომხმარებელს მოემსახურება EASYPAY-ს ტერმინალი, მით მეტი შემოსავლის მიღების საშუალება ექნება EASYPAY-ს სავაჭრო ობიექტს: **„EASYPAY-ს ტერმინალი ლიბერთი ბანკის პილოტური პროგრამაა და ჯერ მხოლოდ 60 სავაჭრო ობიექტშია განთავსებული. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ უკვე გაამართლა, მთელი საქართველოს მასშტაბით, აგრესიულ კამპანიას ვგეგმავთ“.**

ნინო თავაძისვე განმარტებით, სავაჭრო ობიექტებში EASYPAY-ს ტერმინალზე სხვადასხვა ოპერაციები მოლარეებმა უნდა შეასრულონ, რომლებსაც ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები გადაამზადებენ. კითხვაზე, რა ინტერესი ექნება სავაჭრო ობიექტის რიგით მოლარეს, რათა ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს დამატებით მოემსახუროს, ნინო თავაძემ უპასუხა, რომ მათთვის ბანკს წამახალისებელი აქცია აქვს. თუ 6 თვის განმავლობაში, ამა თუ იმ მოლარესთან, EASYPAY-ს ტერმინალზე გადახდების რიცხვი კონკრეტულ ნიშნულს აცდება, ლიბერთი ბანკი 50-ლარიან „გიფთქარდს“ გადასცემს.

ლიბერთი ბანკი გეგმავს, EASYPAY-ს ტერმინალს, სავაჭრო ობიექტებისა და მომხმარებლებისთვის სასარგებლო ფუნქციები დაამატოს, რომელთა განახლება მარტივად, უშუალოდ ტერმინალის საშუალებით იქნება შესაძლებელი. მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს საშუალება აქვთ, EASYPAY-ს ტერმინალი საქართველოს ნებისმიერ წერტილში განათავსონ. ამისათვის საკმარისია, რომ ვებგვერდზე: libertybank.ge/EASYPAY შესაბამისი ფორმა შეავსონ, ან ბანკის ცხელ ხაზს დაუკავშირდნენ.

მაია მიშელაძე

კრიმინალების კონტრრეფორმა ზონაზე და ყველაზე მასშტაბური შიმშილობა

როგორ შეჰქონდათ ციხეში ჰეროინი კიტრით და როგორ აიძულეს პატიმრებმა ბაჩო ახალაიას ძმაკაცი ღაშა ბრეგვაძე ზონაზე ხიდ-ბოსტნეულის შეტანა დაეშვა

პატიმარი №0578

რაც ცივილიზებული სამყარო შეიქმნა, ხელისუფლება კრიმინალს ებრძვის. თანაც, ყველა ხელისუფალი მუდმივად იმეორებს, რომ კრიმინალის დასამარცხებლად რეფორმებს ატარებს. არანაკლებაა საომარი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რადგან კრიმინალები იქაც ცდილობენ გავლენის შენარჩუნებას და ადმინისტრაციის თავის ჭკუაზე მოყვანას. უმკაცრესმა რეჟიმმა და პატიმრების (განურჩევლად ყველასი) ცემა-ტყეპამ არ გაამართლა. არც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნაა გამოსავალი და ახალმა ხელისუფლებამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ისევ „მოუჭირა“. თუმცა, ძველებურად არა და ცდილობს, ის ოქროს შუალედი იპოვოს, რომლითაც უკმაყოფილო არც თავად იქნება და არც პატიმრები. ეს კი ძალიან ძნელია, რადგან ხელისუფლების რეფორმის პარალელურად, რეფორმებს კრიმინალებიც ატარებენ.

„გგონიათ, მხოლოდ ჩვენ გვაქვს რეფორმები დაგეგმილი და კრიმინალები მშვიდად სხედან? ისინი კონტრრეფორმებზე ფიქრობენ. ესაა ფაქტი. მაყურებლების გარეშე ციხე არასოდეს ყოფილა“, — ამ სიტყვების ავტორი სასჯელაღსრულების მინისტრის ახლადდანიშნული მოადგილე კახი კახიშვილია. ეს იყო ბოლო წლების ყველაზე თამამი და რაც მთავარია, სიმართლესთან ახლოსმდგომი განცხადება.

მაყურებლები ზონებზე ნაციონალური მოძრაობის დროსაც იყვნენ. შევარდნაძის დროს ზონებს „ქურდები“ აკონტროლებდნენ და ახლაც არავინ მალავს, რომ მაყურებლები ციხეში ისევ არიან. რაც შეეხება კრიმინალთა რეფორმებს...

2011 წელს, რუსთავის №17 კოლონიის დირექტორმა ლაშა ბრეგვაძემ ზონაზე ჯინსის შეტანა აკრძალა. ხილიდან მხოლოდ ვაშლი დაუშვა, კარცერში კი სიგარეტისა და ჩაის ჩატანის გზა გადაკეტა. პატიმართა მასას ხილი და ჯინსები ადარდებდა, ე.წ. ბლატატას კი ჩაი და სიგარეტი, რადგან, თუ კარცერი არ „თბება“, ანუ სიგარეტი და ჩაი თუ არ ჩადის, ზონა წითელია და იქ მაყურებელს არაფერი ესაქმება. როგორ გადაწყდა მაშინ ეს პრობლემა, წინა ნომრებში მოგიყევით (ჩაისგან მძივი გაკეთდა, დაპრესილი თუთუნის ბურთულები კი რეზინის ქოშებში დაიმალა). დღეს კი, ჯინსსა და ხილზე გიამბობთ.

„განცხადება დაწერეთ სახალხო დამცველის სახელზე. ჯინსისა და ხილის გარდა, ანტიბიოტიკების შემოტანაც მოითხოვეთ და რაც მთავარია, ხილთან ერთად აუცილებლად მოითხოვეთ კიტრი და პომიდორი. განსაკუთრებით კიტრს „მიაწექით“. ზონას სჭირდება“, — მაყურებელმა გიორგი კ-მ ორგანიზება ე.წ. კაი ბიჭებს დაავალა.

მათაც ერთ-ერთ პატიმარს განცხადება დააწერინეს, მერე ყველა საკანი დაიარეს და კაიბიჭების გარდა (ისინი ასეთ განცხადებას ხელს არ აწერენ) ხელი ყველას მოაწერინეს. შესაბამისად, 1 500 პატიმრის ხელმოწერილი განცხადება მეორე დღეს სახალხო დამცველის მაგიდაზე იდო.

პატიმრებს პასუხი ათ დღეში უნდა მიეღოთ, მაგრამ ათი დღე ისე გავიდა, პასუხი კი არა, ისინი არც არავის მოუკითხავს. მაყურებელმა ბლატატა ისევ შეკრიბა და გამოაცხადა: „ახლა ჩვენი სამოქმედოა, პეხოტამ შესაძლებლობები ამოწურა. ხვალ კამერებთან ათი პატიმარი ვენას გადაიჭრის. ბიჭები შეარჩიე. თან ისეთები, ვენის გადაჭრა რომ იციან, ტრუპები არ გვინდა. კიდევ ათი კაცი „კუსაჩკის“ თავს გადაყლაპავს. ამან უნდა გაამართლოს. წერილი გაამზადეთ და გაუშვით, ხვალ 12 საათზე მზად იყავით“.

მეორე დღეს, ზუსტად 12 საათზე, ზონის ტერიტორიაზე დამონტაჟებულ ერთ-ერთ ვიდეოთვალთან 20 პატიმარი იდგა, დანარჩენები კი თვალს ადევნებდნენ. ათმა „კუსაჩკის“ თავი გადაყლაპა, მეორე ათმა კი, ბრიტვით ვენები დაისერა.

ზონაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ყველა პატიმარი საკანში დააბრუნეს. ის ოცი კი, სასწრაფოდ გააქანეს ციხის საავადმყოფოში. ბრეგვაძე გიჟს ჰგავდა. მაშინვე მაყურებელი იხმო. იმანაც მშვიდად განუცხადა: „ხვალ კიდევ 20 პატიმრის წაყვანა მოგიწევს საავადმყოფოში. მერე კიდევ ოცის. მერე კიდევ. აირჩიე — ან ხილი, კიტრი, პომიდორი და ჯინსები, ან სკანდალი“.

მეორე დღიდან ციხეში ჩამონათვალი „გამწვანდა“ და ზონამ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა ცხოვრება, თუმცა მორიგი სკანდალი ზუსტად ექვს თვეში მოხდა. ადმინისტრაციამ კიტრში დამალული ჰეროინი იპოვა. არადა, ვიზუალურად ბოსტნეულს არაფერი ეტყობოდა. ვერავინ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ჰეროინი კიტრში ისე, რომ თავად ნაყოფი დაზიანებული არ იყო.

„ამის გაკეთება მარტივია. საწერი პასტის გულს კარგად გარეცხავ, მერე ერთ ბოლოს მოუწვავ და შიგნით ჰეროინს ჩატენი. მეორე ბოლოსაც მოწვავ და ჰეროინის მცირე კონტეინერი მზად არის. შემდეგ ამ პასტის გულს კიტრის ყვავილს უკეთებ. ასიდან შეიძლება ორმა გაამართლოს და გაიხაროს, დანარჩენი ლპება. კიტრი პასტის გულის გარშემო იზრდება და მალავს მთლიანად. შეხედავ კიტრს, ჩვეულებრივია, არადა შიგნით ჰეროინია“, — აუხსნეს პატიმარ 0578-ს, რომელიც კიტრისა და ჰეროინის ამბავმა ძალიან დააინტერესა.

ბრეგვაძემ ისევ ყველაფერი გადაკეტა. უკვე რიგითი პატიმრები აუჯანყდნენ მაყურებლებს — იმის გამო, რომ ვიღაც კაიფობდა, ჩვენ ხილის, კიტრისა და პომიდვრის გარეშე დავრჩითო. ბრეგვაძე სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა და დეპარტამენტიდანაც „მწვანე“ შუქი ჰქონდა ანთებული, ვისაც უნდა, ვენები გადაიჭრას, არაფერი დაუთმოო. ვითარება ძალიან დაიძაბა, უკმაყოფილო პატიმრებმა ბუზღუნს უმატეს, მაყურებლები კი გამოსავალს ვერ პოულობდნენ. პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში შევიდა და მოწყენილ ბლატატას ღიმილით უთხრა — მე ვიცი, რა უნდა ვქნათ.

მაყურებლებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე პატიმარს და საკნის კარი ჩაკეტეს.

„ზონაზე სამი ათასამდე პატიმარია. უფრო ზუსტად — 2857. ყოველდღე 2857 პური მოაქვთ და საჭმელიც 2857 კაცზე კეთდება. თანაც დღეში სამჯერ. პრაგონი გაატარეთ და მთელმა ზონამ შიმშილობა გამოაცხადოს. არ ავიღოთ პური და საკვები. ეს ნიშნავს, რომ სამ დღეში ათი ათასამდე პური რჩება ჰაერში, პროდუქტზე არაფერს ვამბობ. წერილი დავწეროთ პარლამენტარებისა და ლტოლვილთა მინისტრის სახელზე. პური, რომელზეც უარს ვამბობთ, ჩვენმა სამინისტრომ კი არ დაიტოვოს, ლტოლვილებს დაურიგდეს უფასოდ. ამით მათ გულსაც მოვიგებთ, საზოგადოებასაც მოეწონება ჩვენი ნაბიჯი. სამი ათასამდე კაცს საქართველოში შიმშილობა ჯერ არ გამოუცხადებია. არასამთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები ისეთ ამბავს ატეხენ, ბრეგვაძემ, ეგებ, თავის ხელით მოგვიტანოს ხილი, შიმშილობა შეწყვიტეთო. ზონის საავადმყოფოს პატიმრებმაც უნდა იშიმშილონ. 17 კაცია და ავადმყოფების შიმშილობა კიდევ ცალკე თემაა. მოთხოვნა ხილი, კიტრი და პომიდორია. ბრეგვაძე ვერ იტყვის, ჰეროინი შემოდიოდა კიტრითო. მაშინ თანამდებობა უნდა დატოვოს. ეგ კი ბაჩო ახალაიას ძმაკაცია და წასვლა არც თავად აწყობს, არც ბაჩოს. აუცილებლად დათმობენ“, — დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

მეორე დილით, როცა „ბალანდიორებმა“ პურის დარიგება დაიწყეს, უარი ჯერ ერთმა კამერამ თქვა, მერე მეორემ, მესამემ... ნახევარ საათში გაირკვა, რომ ზონა პურის აღებაზე უარს ამბობდა. სამი ათასამდე კაცმა შიმშილობა დაიწყო. ეს ნამდვილი შოკი იყო. თანაც, უკვე გაფრთხილებული ჟურნალისტები და არასამთავრობები ბრეგვაძეს კაბინეტთან ელოდნენ. ბრეგვაძემ კომენტარი არ გააკეთა, ზონაზე შევარდა და ყვირილი დაიწყო — ყველას დაგხოცავთო. გარეთ უკვე პატიმრების მშობლები და ახლობლები გროვდებოდნენ და მოშიმშილეებს სოლიდარობას უცხადებდნენ. ვიღაც კიოდა, ვიღაც ტიროდა, ბრეგვაძე თმებს იგლეჯდა და ზონის ეზოში გიჟივით დარბოდა. შემდეგ გაჩერდა, №0578-ის კამერასთან მივიდა და ბოლო ხმაზე იღრიალა: „ის გველის წიწილი გამოახედეთ, ეგ მოიფიქრებდა მაგას, მაყურებლებს სად აქვთ მაგის ტვინი... გამოახედეთ-მეთქი...“

პატიმარმა ფანჯრიდან გაიხედა და მშვიდად იკითხა: „ვის ეძებთ, ბატონო ლაშა?!“

ბრეგვაძე გაფითრდა, მერე კი ჩუმად და დამარცვლით თქვა: „უკუღმა მოწყობილ ტვინს ამოგიღებ თავიდან და შეგაჭმევ. მე ლაშა ბრეგვაძე არ ვიყო, თუ ეს არ გავაკეთო. გგონია, მოგიცილებ აქედან? შენ თუ ოდესმე ციხიდან გახვიდე, დაიტრაბახე. აქ ამოგხდება სული...“

„ბატონო ლაშა, ჩვენ მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უფლება გვაქვს. ეს არის პროტესტი, აქცია, რომელიც მხოლოდ ჩვენს ჯანმრთელობას ვნებს. ამას ვერავინ დაგვიშლის და ისე, ცნობისათვის, 12 საათი ხდება უკვე და როგორც ვიცი, ტელევიზიებიც მოსულები იქნებიან“, — გაუღიმა პატიმარმა და ბრეგვაძეც ფანჯარას გინებით მოშორდა.

საღამოს ციხის ადმინისტრაცია ყველა დათმობაზე წავიდა, თუმცა მეორე დღეს ზონამ პური ისევ არ აიღო. ბრეგვაძე დასაბმელი გახდა, ზონაზე შემოვარდა და იღრიალა — ახლა რაღა გინდათ?!

„არაფერი, უბრალოდ ჩვენი წილი პური გვინდა დევნილებს ჰქონდეთ დღესაც“, — უპასუხა მაყურებელმა.

„ესეც იმ გველის წიწილის იდეა იქნება“, — ჩაილაპარაკა ბრეგვაძემ.

* * *

სწორედ ეს არის ის კონტრრეფორმები, რომლებზეც კახი კახიშვილი საუბრობდა და, თუ ვინმეს ჰგონია, კრიმინალური სამყარო მშვიდად ელოდება, რას მოიმოქმედებს ადმინისტრაცია და როგორ შეზღუდავს მათ უფლებებს, ცდება. ეს არის ფარული ომი, ნერვების ომი, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს.

რატომ იღუპებიან პატიმრები

„მოქარბებული ძალადობა და თვითმკვლელობა აღკოჰოლსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებამ გამოიწვია!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ციხეებში პატიმრების დაღუპვა კვლავ არცთუ იშვიათია. ერთი თვის წინ, სასჯელაღსრულების №17 დაწესებულებაში ორი პატიმარი გარდაიცვალა: 1964 წელს დაბადებული დ. ა., სავარაუდოდ, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტს შეეწირა. საკანში მარტომყოფი, მოშიმშილე მსჯავრდებული, 1983 წელს დაბადებული ნ.შ. კი, ექიმმა კისრის მიდამოში მიყენებული ჭრილობით გარდაცვლილი იპოვა. №6 დაწესებულებაში მსჯავრდებული ზ.ს. დაიღუპა — მედპერსონალმა სიკვდილის მიზეზად ჩამოხრჩობა დაასახელა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამი დღის განმავლობაში სამი პატიმრის გარდაცვალება აშკარად სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრობლემაზე მიუთითებს. ამ მდგომარეობასა და გამოსავალზე „ვერსია“ ზიანის შემცირების ქსელის, „ჰეპა პლუსის“ სერვისცენტრის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგ მანანა სოლოღაშვილს ესაუბრა.

— როცა საუბარი თვითმკვლელობაზეა, ზოგადი ანალიზის გაკეთება შესაძლებელი ხდება. როცა პატიმარს მენტალური პრობლემა — ნარკო-ალკო დამოკიდებულება აქვს, ადაპტირება რთულია. კონკრეტული შემთხვევების შეფასება ძნელია, მაგრამ თვითმკვლელობა და მოჭარბებული ძალადობა ალკოჰოლსა და ფიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებამ გამოიწვია. ამის გამო, აგრესიის დონე პირდაპირპროპორციულად მომატებულია. ასეთი ხალხი ციხეშიც ხვდება, მაგრამ მათ სრულფასოვან რეაბილიტაციაზე არავინ ფიქრობს.

— შემთხვევების აღკვეთა რომ ვერ ხდება, პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

— ალბათ ყველას. ამაზე მთელმა საზოგადოებამ უნდა იფიქროს. სარეაბილიტაციო პროგრამების შექმნის კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია. სამ ციხეში ნარკოდამოკიდებულებთან სარეაბილიტაციო პროცესს ვახორციელებდით, მაგრამ ბოლო წლებში შევწყვიტეთ... იმ ციხეებში, სადაც ინფრასტრუქტურა ისევ არსებობს, ცენტრების აღსადგენად დაჩქარებული მუშაობა მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება მხოლოდ ციხეში კი არა, გარეთაც საჭიროა და ამ მიმართულებით, როგორც ვიცი, დანაშაულის პრევენციის ცენტრი არაერთ პროექტს ახორციელებს...

— თქვენი სარეაბილიტაციო სამსახური ციხეში რა ნაბიჯებს დგამდა?

— პროგრამის ძირითადი ფსიქოლოგი ვიყავი; 2005 წელს ცენტრი ქალთა ციხეში გვქონდა, 2006-ში ქუთაისის მეორე, 2007-ში კი, რუსთავის მეექვსე დაწესებულებაში. სარეაბილიტაციო პროგრამა თვითდახმარების ჯგუფების გამოცდილებასა და 12 ნაბიჯის მეთოდიკაზეა დამყარებული. პროგრამის მიზანია ადამიანმა ჯერ აზროვნება შეიცვალოს და მერე ქცევა. ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკის აღარმოხმარება არ ნიშნავს, რომ გამოჯანმრთელდა. თუ ფსიქორეაბილიტაცია არ გაიარა, შეიძლება ისევ მომხმარებელი გახდეს. ადამიანები პროგრამაში სიხარულით ერთვებოდნენ.

— პროექტი როდის და რა მიზეზით შეწყდა?

— ეს ევროკავშირის ინსტიტუციონალიზაციის ორწლიანი პროექტი იყო, რომელიც 2010 წლის ბოლოდან შეწყდა, რადგან მთავრობამ ვალდებულება კი აიღო, მაგრამ არაფერი გააკეთა. ვისაც გამოცდილება გვაქვს, ევროკავშირის დახმარებით, 4 ადგილას სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნას ვგეგმავთ...

— პატიმრობაგამოვლილთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია როგორ მიმდინარეობს?

— კარგი პროგრამა აქვს დანაშაულის პრევენციის ცენტრს — სთავაზობს როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ რეაბილიტაციას; ტრენინგებსაც ატარებს და დასაქმებაშიც ეხმარება. სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია... ამ კუთხით სახელმწიფოს როლი უნდა გაიზარდოს და რეაბილიტაციამ ყველა უნდა მოიცვას. მუშაობა პატიმრების ოჯახის წევრებთანაც აუცილებელია.

— ციხეში C ჰეპატიტის გავრცელების მხრივ რა მდგომარეობაა?

— 200 ათასზე მეტი ინფიცირებული გვყავს. მკურნალობა გარკვეულწილად გაიაფდა, რასაც დიაგნოსტიკაზე ვერ ვიტყვი, თუმცა სახელმწიფომ ციხეებში C ჰეპატითით ინფიცირებულთა მკურნალობა თავის თავზე აიღო. ჯანდაცვის სამინისტროს 60%-იანი ფასდაკლების პროგრამაც აქვს მედიკამენტებზე. 2016 წლისთვის, ამ სფეროში მკურნალობა უნივერსალური იქნება ანუ C ჰეპატიტზე, სახელმწიფო, ნებისმიერ დაინფიცირებულ ადამიანს უმკურნალებს.

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

მკვლელი წამლები

შემზარავი სტატისტიკა — რომელი პრეპარატით რამდენი ადამიანი გარდაიცვალა მსოფლიოში

„ვერსიაში“ არაერთხელ ვწერდით, როგორ შოულობენ მსოფლიოს ფარმაცევტული კომპანიები მილიონებს ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე და როგორ ცდიან მესამე მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობაზე ახალ პრეპარატებს. ბოლო დროს ამ პროცესმა, როგორც ჩანს, უმართავი სახე მიიღო — უცხოური სამედიცინო საიტები აჭრელებულია ინფორმაციით იმის შესახებ, რომ პრეპარატებს, რომლებიც თავის დროზე ამა თუ იმ დაავადების პანაცეად გამოაცხადეს, ყველა აუცილებელი შემოწმება გავლილი არ აქვს. ამას ადასტურებს ფარმაცევტულ გიგანტთა წაგებული სასამართლო პროცესები და დაზარალებულთათვის გადახდილი მილიონობით დოლარი.

ჩვენს ქვეყანაში კი ამ მხრივ, სრული სიმშვიდეა, იდეალური სიმშვიდე და პრეპარატები, რომლებიც დიდი ხანია დასავლეთში ხმარებიდანაა ამოღებული, ასევე მშვიდად იყიდება აფთიაქში სხვა სახელწოდებით. არადა ფაქტია, შეუმოწმებელი პრეპარატების მიღების შედეგად მსოფლიოში გარდაცვლილთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. სტატისტიკა კი, ასეთია:

1937 წელი, აშშ — 100 ადამიანი გარდაიცვალა სულფანილამიდის ელექსირის (ანტიბაქტერიული პრეპარატი) მიღების შედეგად: სულფანილამიდი არ იხსნება წყალში, და იმისთვის, რომ ბავშვებს ადვილად შეძლებოდა მისი მიღება, ქიმიკოსებმა გააზავეს ეთილენგლიკოლში (დღეს უკვე დადასტურებულია, რომ ეს ნივთიერება მომწამვლელია და ის ანტიფირზისა და სამუხრუჭე სითხის შემადგენლობაშია).

1959-1962 წელი, ავსტრალია, ევროპის ქვეყნები, აშშ — 10 ათას ბავშვზე მეტი საშინელი დეფექტით დაიბადა, რადგან დედა იღებდა საძილე საშუალებას — ტალიდომიდს. ამ წამლის ტოქსიკურობა, გაყიდვაში გამოშვებამდე, მხოლოდ თაგვებზე შეამოწმეს (მოგვიანებით გაირკვა, რომ თაგვების ორგანიზმი ტალიდომიდს უბრალოდ არ შეიწოვს), ბავშვები კიდურების გარეშე იბადებოდნენ და ამისთვის ერთი აბიც საკმარისი იყო, ორსულობის პირველ ტრიმესტრში.

1960-1967 წწ. ინგლისი, ახალი ზელანდია, ავსტრალია — ბრონქული ასთმით დაავადებული რამდენიმე ათასი ბავშვი გარდაიცვალა იზოპროტენეროლის აეროზოლის მიღების შედეგად. მართალია პრეპარატი ტოქსიკური არ ყოფილა, მაგრამ დოზა იყო დიდი ბავშვის ორგანიზმისთვის.

1962 წელი, ევროპა და აშშ — პრეპარატმა MER-29 (ორგანიზმში ქოლესტერინის შემამცირებელი საშუალება) გამოიწვია კატარაქტა და წამალი მაშინვე მოხსნეს გაყიდვიდან.

1971-1986წწ აშშ — შეიმუშავეს პრეპარატი დიეტილსტილბესტროლი (DES), რომელიც, როგორც ამბობდნენ, ორსულობისას ბუნებრივი აბორტის პრევეცნიას ახდენდა, არადა, წამლის შედეგად, იმ პერიოდში დაბადებულ გოგონებს (ზუსტი რაოდენობა უცნობია, დაახლოებით 400-მდე და შემთხვევათა უმრავლესობა ბოსტონში მოხდა) აღმოაჩნდათ საშვილოსნოს კიბოს იშვიათი ფორმა. მანამდე მსგავსი დაავადება ახალგაზრდა ქალებში არ დაფიქსირებულა. წამალი მოხმარებიდან მხოლოდ 1998 წელს ამოიღეს... სხვათა შორის გაირკვა, რომ რუსეთში ზოგიერთი გინეკოლოგი DES-ს მაინც უწერს იმ ქალებს, ვისაც მუცლის მოშლის საშიშროება აქვს.

1980-იანი წლები, აშშ — ბაზარზე გამოჩნდა პრეპარატი ფლეკაინიდი, რომელიც შემუშავდა გულის იშემიური დაავადებების სამკურნალოდ. 1989 წელს დაიწყეს ეფექტურობის კვლევა და გაირკვა რომ ადამიანებში, ვინც ამ პრეპარატს იღებდა უფრო მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ვიდრე მათ შორის, ვინც მას საერთოდ არ იღებდა. მაშინ გარდაიცვალა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე კორეის ომში და სხვათა შორის, ფლეკაინიდის ანალოგები დღემდე გამოიყენება მსოფლიოში, მათ შორის რუსეთშიც.

1990-იანების დასასრული — გასახდომი საშუალება Fen-Phen-ის მიღების შედეგად დაზარალდა 700 ათასზე მეტი ადამიანი და, როგორც გაირკვა, პრეპარატი ზრდის გულ-სისხლძარღვთა გაფართოების რისკს. დღეს ეს პრეპარატი აქტიურ ონლაინგაყიდვაშია, თუმცა ოფიციალურად აკრძალულია. მეტიც — ორიდან ერთი აქტიური კომპონენტი — ფენფლურამინი უამრავი გასახდომი საშუალების შემადგენლობაშია და თანაც — თავისუფალ გაყიდვაში.

2004 წელი — მსოფლიო ბაზრიდან მოხსნეს ასპირინის შემცვლელი ვიოკსი საერთაშორისო სახელწოდება — როფეკოკოსიბი), რომელიც ინიშნება ოსტეოართროზისას თუ სხვა ტკივილისას... და ამავე დროს ზრდის ინსულტისა და ინფარქტის რისკს.

შემზარავი სიმართლე პროზაკის შესახებ

ბოლო თაობის ანტიდეპრესანტი აშშ-ში გასული საუკიბის 80-იან წლებში გამოჩნდა. „როგორც იქნა, დეპრესიის მკურნალობა ვისწავლეთ“, — განაცხადეს მეცნიერებმა და მართლაც — თითქოს ამ წამლის მიღების შედეგად ადამიანი ბედნიერებას ასხივებდა, დეპრესია კი ვითომ არც ყოფილა. პრეპარატი მათაც ეხმარებოდა, ვინც დიეტას იცავდა ან მოწევას ანებებდა თავს, ნიშნავდნენ უძლობისას, ძალის დაკარგვისას, შიშისას, სტერსისას... საქმე იქამდე მივიდა, რომ აშშ-ში წამალს ბავშვებსაც ასმევდნენ და თავისუფალ გაყიდვაში იყო. 12 წელში პროზაკის მომხმარებელთა რაოდენობამ 38 მილიონს მიაღწია. 90-იანებში კი სკანდალი აგორდა: გაირკვა, რომ სასწაულმოქმედი პროზაკი სულაც არ არის უწყინარი. 100-დან 4 ადამიანში არამოტივირებულ აგრესიას იწვევს, განსაკუთრებით ბავშვებში. ამას მოწმობს ბავშვთა დანაშაულების ტალღა აშშ-ში — მოზარდები ხოცავდნენ მასწავლებლებს, კლასელებს და შემდეგ სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდნენ. ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ ყველა ეს თინეიჯერი პროზაკზე „იჯდა“.

დამოუკიდებელმა კლინიკურმა ცდებმა დაადასტურა, რომ მათ შორის, ვინც „ბედნიერების წამალს“ იღებს, თვითმკვლელობის რისკი ორჯერ იზრდება. წამალზე შეზღუდვა კი მხოლოდ შარშან დაწესდა — Journal of the American Medical Association-მა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები ჩვილებზე, სადაც გარკვევით წერია, რომ პატარები იბადებიან სასუნთქი გზების პრობლემებით, თუ დედა ამ წამალს იღებს ორსულობის ბოლო ტრიმესტრში (!).

არცთუ სასიამოვნო ინფორმაციაა, არადა პროზაკი აფთიაქში ახლაც იყიდება, მართალია, ბოლო რეგულაციით, რეცეპტით, მაგრამ მცირე ექსპერიმენტის შემდეგ, გავარკვიეთ, რომ მეტი თანხის გადახდის შემთხვევაში და ანონიმურად, ამ წამლის ყიდვა რეცეპტის გარეშეც შეიძლება და არც არაფერი შავდება — ეს ხომ ნარკოტიკული საშუალება არაა?!

აღნიშნული წამლების ნეგატიური ეფექტის შესახებ დასკვნა FDA-მაც (წამლისა და საკვები პროდუქტის ხარისხის კონტროლის ამერიკული ორგანიზაცია) დადო, პროზაკის უკუშედეგის შესახებ სტატია ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალშიც გამოქვეყნდა.

არსებობს აშშ-ს ნაციონალური სამედიცინო ბიბლიოთეკის ოფიციალური საიტი — PubMed (ncbi.nlm.nih.gov) რომლითაც ცივილური მსოფლიოს ყველა ექიმი სარგებლობს. სწორედ აქაა განთავსებული 15 მილიონი სამეცნიერო სტატია, რომელიც 1950 წლიდან გამოქვეყნდა. საკმარისია შეიყვანოთ პრეპარატის სახელწოდება, ხუთ წუთში შეიტყობთ, სასარგებლოა თუ მავნე ესა თუ ის წამალი.

ვითარება უპრეცედენტოა — ექიმები (კონფიდენციალურად, რა თქმა უნდა) აღიარებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს წამლის წარმოებისა და გასაღების ბაზრის კონტროლის რეალური მექანიზმი, ფაქტობრივად არ იწარმოება კლინიკური კვლევები და ვითარება თუ არ შეიცვალა, ნამდვილად დაზარალდება უამრავი ადამიანი. თუმცა ექიმთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგი და ცუდი პრეპარატები არ არსებობს, არსებობს სწორად და შეცდომით დანიშნული წამლები და მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 30-40%-ია.

ასეა თუ ისე, ფაქტია — მსოფლიო ფარმაცევტული ბაზრის განუყოფელ ნაწილად იქცა სკანდალები:

Health Partners ფონდმა უამრავი მეცნიერი ამხილა წამალზე რეალური ინფორმაციის დამალვაში, არც ის კოლოსალური ჯარიმებია საიდუმლო, რასაც ფარმაცევტული გიგანტები სხვადასხვა ქვეყნებს უხდიან: მაგალითად — კომპანია Pfizer 400 მილიონი დოლარით დაჯარიმდა ექიმების მოსყიდვისთვის, AstraZeneca და Tap Pharmaceuticalsп კი იძულებულნი გახდნენ, ამავე დანაშაულისთვის 1,2 მლრდ დოლარი გადაეხადათ... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს მარტივ ჭეშმარიტებას — წამლის წარმოება მხოლოდ ბიზნესია, თანაც საკმაოდ შემოსავლიანი, არადა XVII-XVIII საუკუნეებში მსოფლიოში დაახლოებით 5 წამალი იქმნებოდა საუკუნეში, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში უკვე 1, 6 წამალი იქმნებოდა წელიწადში, XX საუკუნეში — 2,7 წელიწადში, 1958-დან 1970 წლამდე გაჩნდა 476 ახალი წამალი, რაც დაახლოებით 36 ერთეული იყო წელიწადში, დღეს კი მსოფლიო ბაზარზე დაახლოებით 200 ათასი ახალი წამალია წარმოდგენილი, თუმცა აქ უფრო მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უმრავლესობა სინამდვილეში ახალი სულაც არ არის, რასაც ამერიკული FDA-ც ადასტურებს და მათ ფრანგი სპეციალისტებიც ეთანხმებიან.

არცთუ დიდი ხნის წინ, ენდრიუ ჩეტლიმ წიგნში „პრობლემური წამლები“ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ დიარეის საწინააღმდეგო 5 პრეპარატიდან 4-ს არანაირი ეფექტი არ აქვს მკურნალობისას, 50 პროცენტი შეიცავს ყოვლად გამოუსადეგარ ანტიბაქტერიულ დანამატებს, ცალკე საკითხია ვიტამინები — ე. წ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათი 40% შეიცავს არაეფექტურ ინგრედიენტებს,

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ექიმი ვილიამი აცხადებს, რომ არასწორი დანიშნულების გამო აშშ-ში ათასობით ადამიანი კვდება ყოველდღიურად, ჩვენთან კი ასეთი სტატისტიკა არ არსებობს ისევე, როგორც აკრძალვა და კითხვებზე პასუხი — რა ქნას მოსახლეობამ? რომელ კომპანიას ენდოს? რომელი ექიმის მიერ დანიშნული რომელი პრეპარატი მიიღოს, რომ ერთ არამშვენიერ დღეს სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაასრულოს?!

ვერსიანიუსი

ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის 1400 წერილი გაიგზავნა

საქართველოს იუსტიციის, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტი „წერილები ჯარისკაცებს“ გრძელდება.

პროექტის მეოთხე ეტაპის დასკვნითი ღონისძიება თბილისის 47-ე საჯარო სკოლაში გაიმართა. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი ჯონი კვინიკაძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ. პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 9 ჯარისკაცმა მოსწავლეების კითხვებს უპასუხეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

საქართველოს მასშტაბით 26 საჯარო სკოლიდან შეგროვებული 1400 წერილი ავღანეთში, ქართველ ჯარისკაცებს გაეგზავნებათ. წერილების ავტორები მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეები არიან. ყველაზე მეტი წერილი თბილისის 47-ე საჯარო სკოლაში შეგროვდა, შესაბამისად, დასკვნითი ღონისძიებაც აქ გაიმართა. „წერილი ჯარისკაცებს“ საქართველოს იუსტიციის, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტია, რომელსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი სტუდენტებთან ერთად 2012 წლიდან ახორციელებს. მის ფარგლებში ქალაქ თბილისისა და საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეები წერილებს წერენ ავღანეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს. პროექტის მიზანია, სამშობლოდან შორსმყოფი მებრძოლებისათვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვა.

„პირველი“



1. მარიამმოგისთვე
2. მიწის ფართობის საზომი ერთეული
3. თევზების მოსაშენებელი წყალსაცავი
4. საკონდიტრო ფხვნილი
5. სიფილისის გამომწვევი ბაქტერია
6. სკანდინავიელთა უზენაესი ღმერთი
7. განათლ. გაუთხოვარი ქალი ძვ. საბერძ.
8. გრძელი პირდიდი ისარი
9. ოჯახიდან წასული მამის გადასახადი
10. მყუდრო უმფოთველი ცხოვრება
11. რომის ერთ-ერთი ბორცვი
12. კუნძულ კრეტის უმაღლესი მთა
13. მკვახე ყურძენი
14. იგივეა, რაც მომთაბარეობა
15. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში
16. პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა
17. გამაგრილებელი გაზიანი სასმელი
18. თხელი საფლობი ტალახი
19. ათასი მილიარდი
20. ქიმიური ელემენტის ნაერთი ჟანგბადთან
21. ე. წ. თირკმელასოკო
22. უხეში მიტკალი
23. ცხენების ჯგოგი
24. გლუვზედაპირიანი ქვა
25. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
26. შეძახილი ჭიაკოკონობის დროს
27. ცხენის კუდის ბეწვი
28. ქალაქი იაპონიაში
29. მალარიის კოღო
30. ოტელოს მტერი
31. ფლობერის რომანი „... ბოვარი
32. იგივეა, რაც თილისმა
33. ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება ძვ. ეგვიპ.
34. ხორცი-ბაკვეის ენაზე
35. სასვენი ნიშანი
36. ცხენოსანი ჯარი ანტიკურ არმიაში
37. ანტიკური კოლხეთი
38. მდინარე ავსტრიაში
39. მოუხარშავი ან შეუწვავი
40. მიმართვა ინგ. მამაკაცისადმი
41. მინის ჰერმეტული ჭურჭელი წამლისთვის
42. ოქროს ურდოს სარდალი
43. ბადე ბილიარდის მაგიდის კიდეზე
44. მარადონას ერთ-ერთი სახელი
45. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
46. ზევსის ბეჭია
47. მდ. ფლორენციაში
48. აბრაამის ცოლი
49. იგივეა, რაც მუშტი
50. იაპონ. არაყი
51. სუსტი ქარი
52. ბენიტო მუსოლინის „ტიტული“
53. ცხრასტრიქონიანი სტროფი
54. გადამდნარი კარაქი
55. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
56. სამი წერტილი კამათელზე
57. ოპერა „კარმენის“ ავტორი
58. გარეული ღორი
59. ყაზახეთ. დედაქალაქი
60. შურისძ. ქალღმერთი
61. ხვეწნა, მუდარა ძვ. ქართ.
62. მარადმწვანე ხე მომრგვალო რბილი გირჩებით
63. ოიდიპოს. სამეფო
64. ხელის ნაწილი
65. ბარსელონას ოპერის თეატრი
66. პირისახის ძვალი

როგორ ვებრძოლოთ ზამთრის დეპრესიას

ამ საკითხის გადაჭრას შვედეთში უჩვეულო გზით აპირებენ — მალე სტოკჰოლმის ქუჩებში ტაქსი ივლის, რომელიც კლიენტებს წლის ცივი და ბნელი პერიოდით გამოწვეულ მოწყენილობას დააძლევინებს. კომპანია Taxi Stockholm მგზავრებს კვალიფიციური ფსიქოლოგებით აღჭურვილ მანქანებს შესთავაზებს. გამოკითხვის მიხედვით, რომელიც კომპანიამ ჩაატარა, დედაქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 70% მიიჩნევს, რომ ტაქსით მგზავრობა კარგი პერიოდია განსჯისა და საკუთარ თავში ჩაღრმავებისთვის; მეტიც, ხშირად ტაქსის მძღოლები უნებურად ხდებიან კარგი მსმენელები და მრჩევლები. აქედან გამომდინარე, დაასკვნეს, რომ მგზავრებს გზად სპეციალისტების რჩევა სჭირდებათ. ფირმამ უკვე დაიქირავა სამი ფსიქოლოგი, რომლებიც მგზავრებთან ერთად უკანა სავარძელზე მოთავსდებიან. სხვათა შორის, კომპანიის ყველა მძღოლმა უკვე მოაწერა ხელი მანქანაში მოსმენილი ინფორმაციის კონფიდენციალობას. ახალი სერვისით სარგებლობა იმ კლიენტებს შეეძლებათ, ვინც მანქანას წინასწარ დაჯავშნის. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყოველ ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, თუმცა, მათი აზრით, 10 წუთი სავსებით საკმარისია, რათა მოსაუბრის განცდა გაიგონ, გაამხნევონ იგი და რასაკვირველია, საჭირო რჩევაც მისცენ. გარდა ამისა, ამგვარი ტაქსით მგზავრობა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ვიზიტი ფსიქოლოგის კაბინეტში.

ამოგზაურეთ საყვარელი სათამაშო

იაპონური ტურისტული ფირმა Unagi Travel მოგზაურობას რბილ სათამაშოებს სთავაზობს 30-55 დოლარად — ამ ფასად თქვენს დათუნიას ან სხვა სათამაშოს შეუძლია სპა-ტურში „წავიდეს“, დაათვალიეროს ტოკიო ან „გამოცანა-ტურში“ „გაემგზავროს“, სადაც მოგზაურობის ადგილი თავიდან უცნობია. რბილი სათამაშოებისთვის განკუთვნილი ტურისტული ფირმა, შესაძლოა, უცნაურ იდეად მოგეჩვენოთ, თუმცა, მისი დამფუძნებელი, 38 წლის სონოე აძუმა საკუთარი ბიზნესის წარმატებაში დარწმუნებულია. მან ამ საქმის წამოწყება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შენიშნა, რომ მისი მოგზაურობის ფოტოები სათამაშოებთან ერთად განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს. აძუმას ჩანაფიქრით, მისი ფირმის მომსახურება ძირითადად იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, ვინც ვერ ახერხებს სამოგზაუროდ წასვლას და შეუძლია, სიამოვნება საკუთარი საყვარელი სათამაშოს თავგადასავლით მიიღოს. სათამაშოს პატრონები ელექტრონულ წერილებს ან ბარათებს მიიღებენ იმ ადგილებიდან, სადაც მათი დათუნია თუ ძაღლი იმყოფებოდა.

სასმელის გემოს გარემო განსაგღვრავს

ერთსა და იმავე პროდუქტს განსხვავებული გემო აქვს იმისდა მიხედვით, მას სახლში დააგემოვნებენ თუ, ვთქვათ, რესტორანში. ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა სცადეს გაერკვიათ, როგორ ზემოქმედებს გარემო გემოს შეგრძნებაზე. ექსპერიმენტისას მოხალისეებს ერთსა და იმავე ხარისხის ვისკის სთავაზობდნენ, მაგრამ ყოველ ჯერზე, ახალ გარემოში. ექსპერიმენტისთვის ვისკი იმის გამო შეარჩიეს, რომ უფრო „ერთნაირი“ გემო აქვს, ვიდრე, მაგალითად, ღვინოს. მონაწილეები სამ ჯგუფად დაყვეს და სამ ოთახში გადაანაწილეს. ერთში ახლადმოთიბული ბალახის სუნი იდგა და ცხვრის ბღავილი ისმოდა, მეორეში — ტკბილი არომატი და წითელი დეკორით იყო გაფორმებული, თან ზანზალაკების ხმა ისმოდა; მესამე ოთახში კი ხის სუნი იდგა, სადაც შეშის ჩეხვის ხმა ისმოდა. როგორც კვლევის მონაწილეებმა განაცხადეს, „ბალახიან“ ოთახში ვისკის ბალახის გემო დაჰკრავდა, „ხის“ ოთახში — ხის არომატი, „ტკბილ“ ოთახში კი სასმელი ტკბილი მოეჩვენათ. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტად ვისკის გემო „ხის“ ოთახში მყოფ მონაწილეებს მოეწონათ. შესაძლოა, სწავლულთა ამ კვლევის შედეგებმა რესტორატორები დააინტერესოს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	9				2		4	
7	8			6		9		2
					7			
5		2		4				
	7						1	
				1		5		3
			1					
1		7		9			5	6
	4		2				8	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		5		6		2		
2			9		8			
			5		1	4		
3		4		9				6
6								3
9				5		1		2
		3	8		9			
			6		2			1
		8		3		6		

ᲠᲗᲣᲚᲘ

		3	5			2		
				7		8		3
		7		2	6			4
		1	7					
8			6		5			7
					8	1		
6			9	5		4		
5		9		6				
		8			7	9		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

			9	8			5	
					5			1
7	6						9	
				7		8	4	6
8		6				9		3
2	4	9		6				
	5						1	7
1			4					
	8			3	1			

სარკეში ყურება მალე დაგაბერებთ

ამერიკელი სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ადამიანი რაც ხშირად ჩაიხედავს სარკეში, მით სწრაფად დაბერდება. ეს დასკვნა მათ 15-წლიანი ექსპერიმენტის საფუძველზე გამოიტანეს, რომელშიც რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მკვლევარები სპეციალური ზემგრძნობიარე მაგნიტურტალღოვანი დეტექტორის მეშვეობით აკვირდებოდნენ მოხალისეების ორგანიზმს სარკეში ყურებისას და აღმოაჩინეს, რომ ვინც დიდ დროს ატარებს სარკის წინ, განსაკუთრებით მაშინ, თუ თვალებში უყურებს საკუთარ გამოსახულებას, რამდენიმე წუთის შემდეგ დაღლილობას გრძნობს, დროთა განმავლობაში კი — მეხსიერების გაუარესებასაც. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სარკე ადამიანის ენერგიის აკუმულირებას ახდენს და რამდენიმე წუთით ენერგეტიკულ ვამპირად იქცევა. ამიტომაც არის, რომ მისი მსხვერპლნი ყველაზე ხშირად სწორედ სარკეში საკუთარი ანარეკლით ტკბობის მოყვარულები არიან.

ᲨᲐᲕᲘ ᲦᲣᲓᲘ ᲜᲘᲕᲠᲘᲡᲒᲐᲜ

საინტერესო ინფორმაციაა ამომავალი მზის ქვეყნიდან ლუდის თაობაზე: იაპონურმა კომპანიამ პოპულარული მუქი ლუდისა და შავი ნივრის მწვავე, ინტენსიური არომატი შერწყა. შედეგად მიიღეს საკმაოდ უჩვეულო სასმელი Aomori Garlic Black Beer. შავეტიკ-ეტიანი შავი შუშის ბოთლი, რომელზეც ოქროსფერი ასოებითაა დატანილი წარწერა, საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. ერთი ბოთლი ნივრის ლუდი 6,5 დოლარი ღირს. ამ ქაფიანი სასმელის დაგემოვნებისას, პირველ ყლუპზე განსხვავებას ვერ იგრძნობთ — მას ჩვეულებრივი მუქი ლუდის გემო აქვს. მაგრამ რაც უფრო ქვემოთ ჩადის სასმელი — ყელიდან კუჭისკენ, მით ინტენსიურად შეიგრძნობთ შავი ნივრის ინტენსიურ, ძლიერ გემოს. ვინც ეს შავი ლუდი გასინჯა, ამტკიცებს, რომ მისი გემო მეტად დასამახსოვრებელია და გინდა, კიდევ და კიდევ შეიგრძნო ეს უცნაური არომატიც.

ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲘᲩᲘᲗ ᲨᲔᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲐᲜ

ტექნოლოგიური სიახლეების ესპანურმა კომპანიამ რეზინისძირიანი პატარა ხალიჩები წარმოადგინა, რომელსაც ჩვეულებრივ შესასვლელ კართან ან იქვე, შიგნითა მხარეს აგებენ. ერთი შეხედვით, ხალიჩები ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ მასში ჩამონტაჟებულია გელოკაციური ჩიპები, რომელიც საცხოვრებელში არსებულ საგნებს უთვალთვალებს. როგორც კი რომელიმე ნივთი (შესაბამისი მიკრობურთულით აღჭურვილი) არასანქცირებულად დატოვებს ბინის ზღურბლს, პატრონთან სიგნალი იგზავნება. წაღებული საგნის ლოკალიზება, ავტორების განცხადებით, საკმაოდ დიდ მანძილზეც ხდება. შემკვეთის სურვილის მიხედვით, მის კომპიუტერში ან სმარტფონში მიკრობურთულებით აღჭურვილი საგნების სიას შეიტანენ და ქურდობის შემთხვევაში, მფლობელი მომენტალურად გაიგებს, ზუსტად რა მოიპარეს ბინიდან. ეს სისტემა ჯერ კიდევ 2010 წელს შე-ვიმუშავეთ ძვირიანი მაღაზიებისთვის, რომელთა კლიენტებსაც აღიზიანებდათ ტრადიციული კარი ფოტოელემენტებით, — აცხადებს სიახლის ერთ-ერთი ავტორი ხავიერ მუნიოსი, — ჩვენი სისტემა იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ ფირმებმა ჰოლანდიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან მაშინვე დაიწყეს მისი შესყიდვები ისე, რომ რეკლამა არ დაგვჭირვებია, ახლა კი კერძო მომხმარებელზე გასვლას ვა-პირებთ, — ამბობს მუნიოსი.

წ�ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	8	9	7	4	6	5	3	2
7	2	6	5	1	3	9	8	4
5	4	3	2	9	8	1	7	6
2	1	8	9	6	5	7	4	3
6	9	7	4	3	2	8	5	1
3	5	4	8	7	1	2	6	9
9	7	2	3	8	4	6	1	5
4	6	5	1	2	7	3	9	8
8	3	1	6	5	9	4	2	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	4	8	2	1	6	5	7	3
3	2	7	9	8	5	6	1	4
1	6	5	3	4	7	9	8	2
8	1	2	7	9	4	3	6	5
5	9	3	6	2	1	7	4	8
6	7	4	5	3	8	2	9	1
2	3	1	8	7	9	4	5	6
7	8	6	4	5	3	1	2	9
4	5	9	1	6	2	8	3	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	3	4	9	1	8	6	5	7
5	1	9	6	7	4	3	2	8
8	7	6	5	3	2	1	4	9
7	4	8	3	9	5	2	1	6
6	9	5	4	2	1	8	7	3
1	2	3	8	6	7	5	9	4
3	8	2	7	5	9	4	6	1
9	6	1	2	4	3	7	8	5
4	5	7	1	8	6	9	3	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	3	9	8	7	2	1	6	5
2	1	5	3	6	4	9	8	7
8	7	6	5	1	9	4	3	2
3	9	7	6	8	5	2	4	1
5	2	8	1	4	3	7	9	6
1	6	4	2	9	7	8	5	3
9	5	3	4	2	1	6	7	8
7	8	1	9	5	6	3	2	4
6	4	2	7	3	8	5	1	9

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	6	9	1	5	8	3	4	2
1	5	4	9	3	2	8	7	6
8	3	2	4	7	6	5	1	9
9	8	1	3	6	5	7	2	4
5	4	7	2	1	9	6	3	8
6	2	3	8	4	7	1	9	5
4	1	8	6	2	3	9	5	7
3	9	5	7	8	4	2	6	1
2	7	6	5	9	1	4	8	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	3	2	6	4	1	9	8	7
4	1	9	5	8	7	3	6	2
8	7	6	9	3	2	4	1	5
1	9	5	3	2	8	7	4	6
7	8	4	1	9	6	5	2	3
6	2	3	7	5	4	1	9	8
2	6	1	4	7	5	8	3	9
3	5	8	2	1	9	6	7	4
9	4	7	8	6	3	2	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	2	3	4	9	6	8	1	7
1	9	8	7	3	5	6	2	4
7	6	4	2	1	8	9	5	3
2	7	6	3	5	4	1	9	8
4	1	9	8	7	2	5	3	6
3	8	5	1	6	9	4	7	2
9	5	2	6	8	7	3	4	1
8	4	1	5	2	3	7	6	9
6	3	7	9	4	1	2	8	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	3	9	1	6	2	8	7	5
2	8	7	3	5	4	6	1	9
6	1	5	9	8	7	4	3	2
3	2	6	8	4	1	5	9	7
7	5	1	6	3	9	2	4	8
9	4	8	2	7	5	3	6	1
1	6	3	7	2	8	9	5	4
8	9	4	5	1	6	7	2	3
5	7	2	4	9	3	1	8	6

მე-10 გვერდი: 1. ფორმულა; 2. ფირმანი; 3. ფსოუ; 4. როტორი; 5. ულიანოვი; 6. ამეთვისტო; 7. ფაიანსი; 8. რებუსი; 9. ალოე; 10. ინია; 11. კონტრიძე; 12. იქთიოზავრი; 13. ეფა; 14. ვინერი; 15. სიმბიოზი; 16. აპრილი; 17. იკაო; 18. ყრუ; 19. ჰარამხანა; 20. ისანი; 21. ილიონი; 22. სუვა; 23. სპიკერი; 24. არქიფო; 25. ათენა; 26. დოლაბი; 27. უთო; 28. ნეი; 29. „ალანია“; 30. რიო; 31. ლულა; 32. ალია; 33. ნოსტე; 34. ლებრონ ჯეიმსი; 35. ნასა; 36. კილო; 37. კოდი; 38. მელისა; 39. აგნი; 40. სეირი; 41. საბუე; 42. ხოზე; 43. უტა; 44. ილიამნა; 45. „აეკი“; 46. არაკი; 47. მაილი; 48. ლორი; 49. მონრო; 50. ჯო; 51. კაკაო; 52. ბედი; 53. კივი; 54. „ნივა“; 55. მი; 56. ერე; 57. დამოკლე; 58. ფისი; 59. სიამი; 60. ინგა; 61. ნეირონი; 62. პოლ; 63. ლეთე; 64. მაისი; 65. სუ.

მე-12 გვერდი: 1. ტრიბუნალი; 2. ხართუმი; 3. „ტურანდოტი“; 4. იმაგო; 5. უნაბი; 6. ანდალუსია; 7. თერთმეტი; 8. მაჯა; 9. ტრიადა; 10. იერიქონი; 11. რაყიფი; 12. დურუჯი; 13. ასინეთა; 14. ამანათი; 15. ნიორი; 16. მოსე; 17. იტალიკი; 18. აყირო; 19. ლემა; 20. უდე; 21. ნანი; 22. ერთაოზი; 23. სეტი; 24. ოტიტი; 25. თუფაქი; 26. თირკმელა-სოკო; 27. ოქტეტი; 28. არი; 29. იუანი; 30. თუთია; 31. მწყერი; 32. ილო; 33. როტი; 34. არია; 35. ერმიტაჟი; 36. კანო; 37. ეტი; 38. აურა; 39. წუნი; 40. ეკი; 41. მატერია; 42. ნაქი; 43. აქილია; 44. ტერ; 45. ირა; 46. მეტისი; 47. მუმია; 48. მუცალი; 49. ქამი; 50. აკრა; 51. ქილია; 52. ტალიონი; 53. დარდი; 54. გიზა; 55. რიმსკი; 56. ალა; 57. ინჟენიუ; 58. უტილი; 59. ედმონი; 60. დღე; 61. მსგეფსი; 62. გუგუა; 63. მიომა; 64. ჟორჟ; 65. გალინა; 66. ჰაინე; 67. მადამ; 68. ფრიქსე; 69. დარ; 70. ჰუკი; 71. დრო; 72. მაკე; 73. სან; 74. ამაო; 75. ვაი; 76. „შინი“; 77. ლომონოსოვი; 78. ოე; 79. ბულიტი; 80. ნიუ; 81. შარლიზ; 82. კეა; 83. შალე; 84. მარგარიტა; 85. კოლოსი; 86. შაჰი; 87. კამარა; 88. ნაი; 89. რიო.



1. ნაღების ან ნუშის რძის ჟელე
2.მთავარი მსაჯი
3.ბოტანიკის დარგი, სწავლობს ხავსებს
4.„ფილოსოფიური ქვის“ ძაძიებელი მისტიკური მოძღვრება
5. ხმელთაშუა ზღვის რეგ. გავრც. გარეული ცხვარი
6.ბელოდიას მოკლებული სიტყვიერი ტექსტი ოპერაში
7. ჰორმონი, რომლის დეფიციტი იწვევს შაქრიან დიაბეტს
8.ქართული საბჭოთა საესტრადო კოლექტივი
9.ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი
10. ორი ერთმანეთში გაუყსნელი სითხის ნარევი
11. არსენა მარაბდელის და
12. "ინგლისური პოეზიის მამა"
13. „ცისარტყელა“ ქიმიური ელემენტი
14.ქართული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში
15. ფაშატი ცხენისა და მამალი ვირის ნაჯვარი
16.შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
17. ისრაელის ფულის ერთეული
18. მსოფლიოს მე-8 ჩემპიონი ჭადრაკში
19. წყალსა და წებოში გაქნილი საღებავი
20. მცირეალკოჰოლიანი სასმელი
21. სოფელი წალენჯიხის რაიონში
22. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი
23. სისველე, ნამი
24. ტროპიკული ხილი
25.ჰოლანდიის სიდიდით მეორე ქალაქი
26. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი
27. პატარა მწვანე ბაყაყი
28.ამაღლებული სცენა მსახიობების გამოსასვლელად
29. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანში
30.ბრილიანტის „წინასწარ“
31.ავთანდილის ეროვნება
32.ჰოლანდიელი ზღვაოსანი და მკვლევარი
33. ძველბერძენი ფილოსოფოსი
34. იგივეა, რაც თაღი
35. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
36. ინდონეზიის კუნძული
37. ბილ გეიტსის კომპანია
38. იტალიის ავიაკომპანია
39. სურნელოვანი მწვანილი
40.ქალაქი, სადაც პოეტი ბესიკია დაკრძალული
41.ინდოელი ქალების ეროვნული სამოსი
42. პირველი კოსმონავტის სახელი
43. ძალზე წმინდად დაფქვილი ფხვნილი
44.გათხოვილი ქალისადმი მიმართვა ინგლისში
45.ბიწის საზომი ერთ. ინგლისში
46.დეკორატ. ყვავილი
47.საბჭოთა ჯაშუში
48.ხარების ბრძოლა
49. ძლიერი სპირტიანი სასმელი
50. დიდი მუწუკი
51. მონღოლი დიდებული
52. მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე
53. ხუნჭუას სახელი „რეკორდში“
54. ჯაჯაგა ხეების გამოზრდის ხელოვნება
55.ფეხბურთ. ... კინი
56.იტალიელი ფერმწერი
57.რომინული ხალხური ლირიკული სიმღერა
58. ჰაკერის სახელი „მატრიცაში“
59. სარეწაო მნიშვნელობის თევზი
60. სესხის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი
61.„საბჭოთა ფიზიკის მამა“
62. სანელებელი მცენარე
63.მსახიობის მიერ განსახიერებული სახე
64. ქართული ტელეარხი
65. თევზის სუკი
66. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
67. ზეთოვანი კულტურული მცენარე
68. თმის მცენარეული საღებავი
69.ლიონელ მესის შინაურული სახელი
70. საკაზმი ხორციანი საჭმლისათვის
71. ქალბატონისადმი მიმართვა იტალიაში
72. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
73. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
74. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
75. ბნელი და ღრმა ორმო
76. საყანედ გაკაფული ტყე
77. გაზაფხულის ყვავილი
78. აშშ-ის შტატი
79. თმის საშრობი ელექტროხელსაწყო
80. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
81. სახოტბო ლექსი
82. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
83. წვრილად დაჭრილი და მოშუშული ბოსტ. კერძი
84. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში

ვეგეტარიანული რძე შექმნეს

კაცობრიობისთვის დიდი ხანია ცნობილია რძის პროდუქციის სხვადასხვა შემცვლელი, ცოტა ხნის წინ კი სწავლულებმა ხელოვნური რძის კიდევ ერთი ვარიანტი წარმოადგინეს — წინამორბედებისგან მთავარი განსხვავება ისაა, რომ მისი წარმოებისთვის ძროხა საერთოდ არ არის საჭირო. ამ ინოვაციურ პროდუქტში შენარჩუნებულია სასარგებლო ცილები, ცხიმები, ვიტამინები და მინერალები, თუმცა არ არის ლაქტოზა. სიახლის ავტორები ირწმუნებიან, რომ ხელოვნურ რძეს ისეთივე გემო აქვს, როგორც ნატურალურს და ეს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია სოიოსა თუ სხვა ანალოგებისგან. რძეს Muufri უწოდეს, რაც „ძროხისგან თავისუფალს“ ნიშნავს. პროდუქტი საფუარისა და ბოსტნეულისგან მზადდება, კალციუმი, კალიუმი და შაქარი ცალკე ემატება. როგორც ვარაუდობენ, ახალი ხელოვნური რძის მასობრივი წარმოება 2017 წლისთვის დაიწყება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.